წლიწადი მეცამეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: მთ. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—26—17, სამდივნოსი 10—56, მთ. კანტორის—8—31.

8
ოქტომბერი
1933 წ.
№ 232 (3788)

საქართველოს საბჭოთა მწერლობის შემდგომი განვითარებისათვის

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 2 ოქტომბრის დადგენილება „საქართველოს საბჭოთა მწერლობის კავშირის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საბჭოთა ლიტერატურისადმი **პარტიის განსაკუთრებულ ყურადღებისა და მზრუნველობის გამომხატველ უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტს წარმოადგენს.** ცეკას 2 ოქტომბრის დადგენილება უსახავს საქ. საბჭოთა მწერლობის კავშირს მუშაობის ფართო პროგრამას, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს საქართველოს მთელი საბჭოთა ლიტერატურული ფრონტის შემდგომ განვითარებას, საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილების რეალიზაციისათვის ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობის გაშლას, მწერლობის საუკეთესო ძალების კიდევ უფრო მჭიდროთ დარაზმვას კომუნისტური პარტიის გარშემო.

საბჭოთა ლიტერატურა დღეს უკვე მშრომელთა მილიონების უშუალო საქმედ ხდება. იგი მძლავრი ფაქტორია უკლასო სოციალისტური საზოგადოების შენების პროცესში ადამიანის შეგნების გარდაქმნისათვის.

საბჭოთა ლიტერატურა სოციალისტური მშენებლობის ორგანიულ, განუყოფელ ნაწილად გადაიქცა. ეს მიღწევები გამოწვეულია იმით, რომ სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის ლიტერატურა მიიმართება ლენინისა და სტალინის მიერ დასახული გზით. პროლეტარიატის კულტურული დონე სულ უფრო და უფრო იზრდება. პროლეტარიატი კრიტიკულად ეუფლება ბურჟუაზიის კულტურულ მემკვიდრეობას, ქმნის ახალ სოციალისტურ კულტურას. იგი კულტურული რევოლუციის გაშლილი პროცესის გეგემონია. საბჭოთა ლიტერატურის განუწყვეტელი განვითარება მაჩვენებელია აგრეთვე ფართო მშრომელი მასების კულტურულ მოთხოვნილებათა ზრდის, მაჩვენებელია იმის, რომ ლიტერატურა ხდება საერთო პროლეტარული საქმის ნაწილი დიდი მასშტაბით, რომ შეიცვალა მისი ხასიათი, ფუნქცია, დანიშნულება, რომ იგი უკვე აღარ არის, როგორც წარსულში, რჩეულთა ვიწრო ჯგუფის კუთვნილება, პრივილეგია.

საქართველოს საბჭოთა ლიტერატურა მიიმართება აღმავალი ხაზით წინ. გაიზარდა და განმტკიცდა პროლეტარული ლიტერატურა. ლიტერატურულ ფრონტს მრავლად წამოეზარდენ ახალი ძალები, რომლებიც მუშაობენ აქტუალურ თემატიკაზე, მომაგრდენ, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატები. ჩვენი ლიტერატურის ეს ზრდა შედეგია საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის ისტორიული დადგენილების, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ახალ ეტაპს. ამ დადგენილებამ ჩაუყარა საფუძველი ყველა იმ მწერლების გაერთიანებას, რომლებიც მხარს უჭერენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმას და მიისწრაფიან მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში; მან შექმნა საბჭოთა მწერლების შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფიერი განვითარების ყველა აუცილებელი პირობები; მან განამტკიცა ძველი ინტელიგენციის ფართო ფენებში ის შემობრუნება საბჭოთა ხელისუფლების პოზიციებისაკენ, რომელიც ჯერ კიდევ წინად ჩაისახა.

ცეკას დადგენილების თანახმად მოხდა ლიკვიდაცია პროლეტარულ სამხატვრო - სალიტერატურო ორგანიზაციების („რაპპ“ და „გოაპპ“), რომლებმაც თავის დროზე დადებითი როლი ითამაშეს პროლეტარული ლიტერატურის განვითარებაში. მაგრამ ახალ ვითარებაში, საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ახალ ეტაპზე ეს ორგანიზაციები უკვე აფერხებდენ მხატვრული შემოქმედების სერიოზულ გაშლას. „ასეთი გარემოება ქმნის იმის საფრთხეს, რომ ეს ორგანიზაციები სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გარშემო საბჭოთა მწერლების და მხატვრების, რაც შეიძლება მეტი მობილიზაციის საშუალებიდან გადაიქცევიან ჯგუფური კარჩაკეტილობის დანერგვის, თანადროულობის პოლიტიკური ამოცანებისა და მწერალთა და მხატვართა იმ საგრძნობი ჯგუფებისაგან მოწყვეტის საშუალებად, რომლებიც თანაუგრძნობენ სოციალისტურ მშენებლობას“ (საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილებიდან).

საქ. მწერალთა კავშირმა, რომელიც ჩამოყალიბდა ცეკას 23 აპრილის დადგენილების საფუძველზე, ჩაატარა საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობა საბჭოთა ლიტერატურის ყველა საუკეთესო ძალების დარაზმვისათვის პარტიის ხაზის გარშემო, შემოქმედებითი მუშაობის გაშლისათვის, იმ ამოცანათა განხორციელებისათვის, რომელთაც სახავს მთელი ლიტერატურული ფრონტის წინაშე ცეკას 23 აპრილის დადგენილება. მაგრამ ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით მოპოვებულ წარმატებებით ლიტერატურის ფრონტზე. **საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი** თავის ორი ოქტომბრის დადგენილებაში მიუთითებს „ზოგიერთ მიღწევებზე 23 აპრილის გადაწყვეტილების“ რეალიზაციის საქმეში და სახავს საბრძოლო ამოცანებს საქ. მწერალთა კავშირის წინაშე.

ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რომელსაც საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აყენებს მწერალთა კავშირის წინაშე, ეს არის შემოქმედებითი მუშაობის გაშლა, მწერალთა აქტივის კიდევ უფრო მჭიდრო დარაზმვა 23 აპრილის გადაწყვეტილების გარშემო, მწერალთა კავშირის მთელი მუშაობის წარმართვა იმ ხაზით, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლობა პირველ საკავშირო ყრილობაზე, წარსდგეს მაღალხარისხოვანი მხატვრული პროდუქციით, რომელშიაც ასახული იქნება გიგანტური ძვრები ჩვენს ქვეყანაში, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის წარმოებული გმირული ბრძოლა. ყველა ამის პირობები ჩვენში არსებობს. ცეკას 2 ოქტომბრის დადგენილება ყველა პირობას ქმნის იმისათვის, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლობა მომზადებულად შეხვდეს მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობას, რომ იგი გადაიქცეს ერთერთ მძლავრ ფაქტორად მშრომელი მასების კომუნისტური აღზრდის, ადამიანის შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრის.

საქ. კ.პ. (ბ) ცეკა თავის დადგენილებაში აღნიშნავს, რომ ჯგუფობრიობა, რომელიც დიდათ აფერხებდა შემოქმედებითი მუშაობის გაშლას, მწერალთა კავშირმა შესძლო ძირითადში გაენადგურებია, მაგრამ ამავე დროს მიუთითებს ჯგუფობრიობის **ნაშთების არსებობაზე. ჯგუფობრივი ბრძოლის რეციდივებს ჩვენს სინამდვილეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს. მწერალთა კავშირის ამოცანაა საბოლოოდ მოუღოს ბოლო ჯგუფობრივობის ნაშთებს, მედგრად შეებრძოლოს მის ყოველგვარ გამოვლენას.**

ცენტრალური კომიტეტი ერთერთ ძირითად ამოცანად აყენებს მწერალთა კავშირის წინაშე შეუნელებელი ბრძოლის წარმოებას ლიტერატურაში ნაციონალისტური ტენდენციების, კლასობრივად უცხო და ანტიპროლეტარული განწყობილებების ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ.

სოციალისტური მშენებლობა მიმდინარეობს გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში. კლასობრივი ბრძოლა თავის გამოხატულებას ლიტერატურის დარგშიაც პოულობს. კლასობრივი მტერი სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე ეტაპზე უკვე აღარ გამოდის აშკარად, არამედ ნიღაბაფარებული, მალულად აწარმოებს ბრძოლას პროლეტარიატის პოზიციების წინააღმდეგ. ცხადია ასევე ნიღაბაფარებული იჭრება დღეს კლასობრივი მტერი ლიტერატურის ფრონტზედაც. **მწერალთა კავშირის ამოცანაა თავის დროზე ამხილოს კლასობრივი მტრის მახინაციები და გამანადგურებელი ბრძოლა აწარმოოს კლასობრივი მტრის აგენტურის წინააღმდეგ, „ლიტერატურაში ნაციონალისტური ტენდენციების, კლასობრივად უცხო და ანტიპროლეტარული განწყობილებების ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ“.**

ცეკას დადგენილება მთელი სიგრძე სიგანით აყენებს მწერალთა კავშირის წინაშე **შემოქმედებითი შეჯიბრების** კიდევ უფრო გაშლის ამოცანას, მოითხოვს ბრძოლის გაძლიერებას სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი ხაზისათვის, მუშაობის გაძლიერებას მწერლების დაახლოვებისათვის პროლეტარიატის პოზიციებთან.

ცეკას დადგენილება აღნიშნავს არა საკმაო მუშაობას სალიტერატურო წრეების ქსელის გაშლისა და მუშათა და კოლმეურნეთა რიგებიდან ახალი სალიტერატურო კადრების დაწინაურების ხაზით.

მწერალთა კავშირმა დაუყოვნებლივ უნდა გააცხოველოს მუშაობა, რათა გააფართოვოს სალიტერატურო წრეების ქსელი, განამტკიცოს იგი კვალიფიციურ ხელმძღვანელთა კადრებით და რაც მთავარია, გააძლიეროს იდეურ-პოლიტიკური და სამხატვრო კონსულტაცია.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს **ახალი კადრების მომზადების საქმეში ცეკას დადგენილებას სპეციალური ჟურნალის შექმნის შესახებ,** რომელშიაც უნდა იბეჭდებოდეს ახალგაზრდა დამწყებ მწერლების მხატვრული პროდუქცია. ეს ავალებს მწერალთა კავშირს გააძლიეროს მუშაობა ახალ კადრებთან, იბრძოლოს მათი აღზრდისათვის მარქსიზმ - ლენინიზმის მიხედვით.

ცეკა აღნიშნავს **სუსტ მუშაობას საგამომცემლო ორგანოების („სახელგამი და „ფედერაცია“)** მხატვრული ლიტერატურის გამოცემის საქმეში და აძლევს მათ წინადადებას უზრუნველყონ მხატვრული ლიტერატურის გეგმების შესრულება მეოთხე კვარტალში. დროა ბოლო მოეღოს მხატვრული ლიტერატურის გამოცემის გეგმების სისტემატიურ შეუსრულებლობას. სახელგამმა და ფედერაციამ დაუყოვნებლივ უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა ცეკას დადგენილების საფუძველზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, ის ფართო მასშტაბის ღონისძიებები, რომელიც მოცემულია ცეკას 2 ოქტომბრის დადგენილებაში საბჭოთა მწერლების მატერიალურ, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ხაზით. ცეკას ამ უდიდესი მნიშვნელობის დადგენილებით მწერალთა კავშირს შეექმნა მტკიცე მატერიალური ბაზა, რადიკალურად უმჯობესდება მწერალთა საყოფაცხოვრებო პირობები. **შეიქმნა ყველა პირობები საბჭოთა მწერლობის ნორმალური შემოქმედებითი მუშაობისათვის.** ეს ღონისძიებანი ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ როგორ მზრუნველობას და ყურადღებას იჩენს ჩვენი პარტია და საბჭ. ხელისუფლება საბჭოთა მწერლობისადმი. **სიტყვა ეხლა საბჭოთა მწერლობას ეკუთვნის.** საბჭოთა მწერლები ამ დადგენილებას უპასუხებენ შემოქმედებითი მუშაობის გაძლიერებით, თავისი რიგების კიდევ უფრო შემჭიდროებით კომუნისტური პარტიის და მისი ბელადის ამხ. **სტალინის გარშემო.**

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 2 ოქტომბრის დადგენილება მოგვიწოდებს კიდევ უფრო განვამტკიცოთ კომუნისტ ლიტერატორების ერთიანობა ცეკას 23 აპრილის დადგენილების საფუძველზე, გავაძლიეროთ ბრძოლა **სოციალისტური რეალიზმისათვის, სოციალისტური ლიტერატურისათვის, კლასობრივი მტრის წინააღმდეგ, ყველა იმის წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლის საკავშირო კომპ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილების განხორციელებას**

გავაძევოთ ტრანსპორტიდან საბოტაჟნიკები და სახელმწიფო ქონების გამნიავებელნი

მთავარია მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულება

შორაპნის სავაგონო დეპოს ოსტატის—ამხ. გაგლოშვილის რეისი

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან).

4 ოქტომბერია. სავაგონო დეპოს ოსტატმა ამხ. კოლია გაგლოშვილმა თავისი დაპირების თანახმად შორაპან - ჭიათურის კვანძზე დღეს საცდელი რეისი უნდა ჩაატაროს. მან უნდა დაუმტკიცოს მზეთავებს, რომ კეთილსინდისიერება და მოვალეობის ზუსტად შესრულება საკმარისია კოლოფების დაკარგვის, ბუქსის წვისა და ვაგონის ახსნის შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად.

— ძნელი საქმეა.

— ოცნებაა. -- ამბობენ აქა - იქ.

— შორაპან - ჭიათურის ხაზზე ბუქსის წვის თავიდან აცილება არ შეიძლება — დასძენენ ზოგიერთები.

გაგლოშვილი გულს მაინც არ იტეხს. მას ღრმად სწამს გამარჯვება და ამ რწმენით იწყებს მუშაობას.

პირველად ამხ. კოლია შორაპნის სადგურში მივიდა.



შორაპნის სავაგონო დეპოს ოსტატი ამხ. გაგლოშვილი

— შემადგენლობა ერთი საათით ადრე მზად იყოს, — გააფრთხილა მან მორიგე, ჩვენ გავალთ 15 საათსა და 31 წუთზე.

.. და ყველანი, ვინც ამ მატარებელს მივყვებოდით დროზე გამოვცხადდით დანიშნულ ადგილას.

— შემადგენლობა მზადაა — გვითხრა გამსინჯველმა **ბესარიონ გურულმა.**

შევუდექით ვაგონების დათვალიერებას......

— ეს ორი ბუქსი რუხ — ყვითლად გამოიყურება, გახსენი — მიმართა გაგლოშვილმა გამსინჯველს. უკანასკნელმა დავალება უსიტყვოდ შეასრულა. ბუქსები გადამწვარნი აღმოჩნდენ.

გაგლოშვილი კითხვის ნიშნით მიაშტერდა გამსინჯველს.

— ყველა ბუქსს სათითაოდ ხომ არ გავხსნი, ისე კი ვერ შევნიშნე.

— „იმართლა“ თავი გურულმა.

— განვაგრძობთ: ბუქსების დათვალიერებას.

— ესენი?.. ესენიც ვერ შეამჩნიე?!.. — და ოსტატი ბუქსის გატეხილ კოლოფზე მიუთითებს.

— რა ვქნა, შევამჩნიე, მაგრამ მაგიერი არ არის...

-- არის!

და როცა მტკიცედ მოსთხოვეს გამსინჯველმა ბუქსის რამოდენიმე ძირი და ახალი კოლოფი მოიტანა.

ამათ გარდა ბუქსის დასამაგრებელ საკეცეებში რამდენიმე ადგილას ჭანჭიკების მაგიერ ხის ჩხირები აღმოჩნდა.

ჭანჭიკი არ გვყოფნის — აქაც სცადა თავის მართლება გამსინჯველმა, მაგრამ როცა ჭანჭიკები მიუტანეს, დარცხვენილმა ენა ვერ დასძრა

ერთ რესორს ღერძაკი არ აღმოაჩნდა, ერთ ბუქსში ძენძი არ იყო, რამდენიმე ბუქსის ჭანჭიკი მოშვებული აღმოჩნდა, რამაც შექმნა საკონტროლო სადგურამდის კოლოფების დაკარგვის საფრთხე.

და ყველაფერი ამის შემდეგ: — „შემადგენლობა მზადააო“ — უტიფრად აცხადებს გამსინჯველი გურული.

იქვე გამზადდა „კომუნისტის“ — ელვა!!! № 8 გურული სასტიკად გაიკიცხა.

14 საათსა და 30 წუთზე შორაპნის სადგურმა გვაცნობა, რომ შემადგენლობა მზადაა და შეგვიძლია მივიღოთ. მივიღეთ, მთელი რიგი მუშაობა ჩავატარეთ; გავიდა წუთები და სრულ 15 საათზე შემადგენლობას 6 ვაგონი მოემატა.

— რაშია საქმე?!.

— გადამტვირთველის მუშებმა ვერ მოასწრეს ვაგონების დაცლა და ახლა გვიმატებენ.

ამის გამო ჩვენ საშუალება აღარ გვაქვს გულდასმით შევამოწმოთ ეს ვაგონები. სადგურმა მოგვატყუილა, ხელი შეგვიშალა.

ასეთი მოვლენა აქ ხშირია. დროა შორაპნის სადგურის ასეთ უპასუხისმგებლობას ბოლო მოეღოს.

ჭიათურაში სრულიად წესიერად ჩავიყვანეთ შემადგენლობა. შემცვლელი მატარებელი გამსინჯველებმა „მზად“ დაგვახვედრეს, მაგრამ... თავისებურად დატრიალდა გაგლოშვილი, ჩამოუარა შემადგენლობას და აღნიშნა:

— სამი კოლოფი გატეხილია. უნდა გამოვცვალოთ, ერთი რესორი იაშლილია, შეკეთება უნდა.

გამსინჯველმა **ლუტიძემ** თავი იმართლა:

— მთელი კოლოფები არ გვაქვს. იძულებული ვართ გაფუჭებული გამოვიყენოთ.

ლუტიძემ კარგად იცის, რომ გატეხილი კოლოფიდან ზეთი იღვრება, ღერძი ცალიერი რჩება და ხურდება. კარგად იცოდა, რომ საბუქსე კოლოფებიც იქვე ახლოს ელაგა, მაგრამ თავი არ შეიწუხა, იგი ბრიგადას არ მოელოდა. გაგლოშვილმა ერთხელ კიდევ ჩამოუარა შემადგენლობას, სათითაოდ გასინჯა ვაგონების ნაწილები და დარწმუნდა რა მათ სიჯანსაღეში მემანქანეებს მისცა სიგნალი. —

ჭიათურა დავტოვეთ.

გავიარეთ სადგური სალიეთი, რკვია, ბელლევი, მარტოთუბანი. მოვკეცეთ 40 კილომეტრი მოგვაქვს მარგანეცი.

გაგლოშვილი და მისი ბრიგადა (მზეთავები — ბაღათურია და მალლაკელიძე.) ყველა სადგურში გადმოდიან, ათვალიერებენ ბუქსებს, სინჯავენ სხვა ნაწილებს.

— სხვა დროსაც ასე იქცეოდით?.. — ვეკითხები მზეთავებს. მათი ორჭოფული პასუხიდან ჩანს, რომ ისინი ასე არ იქცეოდენ.

მთავარი გზა უკვე განვლეთ, არცერთი კოლოფი არ დაგვკარგვია, არც ღერძი გაგვხურებია, არც ბუქსი დაგვწვია, არც ვაგონი აგვიხსნია.

გახარებული ვუახლოვდებით შორაპანს,

— როგორ ფიქრობ ახლა, ხომ შეიძლება ბუქსის წვა თავიდან ავიცილოთ, ხომ მოახერხა ეს გაგლოშვილმა? — ვეკითხები მზეთავ ბალათურიას.

იგი ჯერ შეყოყმანდა და (ცოტა დაყოვნების შემდეგ მიპასუხა.

შეიძლება, როგორ არა!

23 საათი და 30 წუთი იყო ჩვენმა მატარებელმა შორაპნის სადგურს რომ მიაკივლა.

გადმოვედით. გამსინჯველებმა შემადგენლობა მიიღეს.

-- ყველაფერი რიგზეა! იყო საერთო შეფასება.

და ეს ბევრს ნიშნავს გაგლოშვილის გამარჯვებასაც და იმის ცხადყოფასაც. რომ შეიძლება ბუქსის წვის შემთხვევების სავსებით აღმოფხვრა.

ნ. პაიჭაძე

სახელმწიფო ქონების გამნიავებლები ფოთის სადგურში

ფოთის რკინის გზის კვანძმა ჩამორჩენას ხორბლეულის გადაზიდვაში სამარცხვინო გარღვევებს თავი ვერ დააღწია. 29 სექტემბრისათვის, ვაგონების თავის დროზე მიუწოდებლობის გამო ნავთსადგურის საწყობებში დაგროვდა 530 ვაგონი ხორბალი, ამ დღეებში კიდევ მოელიან გემს „ურალლესს“, რომელიც მოიტანს 168 ვაგონ ხორბალს.

ნავთსადგური ყოველ დღიურად მოითხოვს 180 ვაგონს. გზა ამ დავალებას ვერ ასრულებს. 25 სექტემბერს 180 ვაგონის ნაცვლად მიწოდებულია 144 ვაგონი, 26 სექტემბერს კი 88 ვაგონი, ვაგონების მიწოდება დღითი-დღე უარესდება, რაც უმთავრესად გამოწვეულია გზის მეორე რაიონის დაუდევრობით. მეორე რაიონმა ფოთს ყოველ 24 საათში უნდა მიაწოდოს 125 ვაგონი. მაგრამ ეს დავალება მხოლოდ 50—70 პროცენტით სრულდება. 28 სექტემბერს 125 ვაგონის ნაცვლად ფოთში მიიღეს 73 ვაგონი, 29 სექტემბერს კი 53 ვაგონი.

ნავთსადგური ვერ ასწრებს მიწოდებული ვაგონების დატვირთვას, მაგ. 24 სექტემბერს 159 ვაგონიდან დატვირთეს 129. 25 სექტ. 144-დან 136 და ა. შ. ეს უმთავრესად გამოწვეულია მუშა-ხელის ნაკლებობით. (1400 კაცის ნაცვლად მუშაობს 800).

ვაგონების დატვირთვას ხელს უშლის აგრეთვე ელსადგურის ცუდი მუშაობა; 24 სექტემბერს ელსადგურმა შესწყვიტა მუშაობა საათნახევრით. რის გამო გაცდა 23 ვაგონი.

სადგურის მეურნეობის დანაგვიანებული აპარატი უნდა გაიწმინდოს

ფოთის სადგურის მეურნეობის აპარატში მოკალათებული არიან ლოთები, ქურდები, სახელმწიფო ქონების მტაცებლები და გამნიავებლები.

5 სექტემბერს ნავთსადგურში მატარებელმა მოკლა ღორი; მოკლული ღორი გაიტაცა მწონავმა **რ. ჩაჩიბაიამ**, ერთ საათის შემდეგ ცხელი მწვადები მზად იყო, გადამცემ ქმედმა **ვაჩეიშვილმაც** „გემრიელი ლუკმა“ არჩია, სამსახურიდან გაიპარა და ტკბილ სუფრაზე გაატარა დრო; **ჩაჩიბაიას** და **ვაჩეიშვილის** ასეთი მოქმედებით დაირღვა ორი მატარებლის გასვლის დრო.

27 სექტემბერს, იმავე **ვაჩეიშვილ** სამსახურის საათებში კერძო ბაზარზე შეიძინა ღვინო და მიიპატიჟა გადამცემი ქმედი **პ. უვანია.** ღვინით გალეშილმა ვაჩეიშვილმა სამსახურის ასრულება ველარ შესძლო და შეაფერხა ხორბლეულით დატვირთული ვაგონების სადგურიდან დროზე გაყვანა, 29 სექტემბერს ვაჩეიშვილმა სამუშაოზე დაიგვიანა საათნახევარი. ჩვენ ვეკითხებით მოძრაობის დარგის პარტუჯრედს: რა ზომები მიიღო მან ვაჩეიშვილის ასეთი უმსგავსო საქციელის წინააღმდეგ? ვნახოთ რას გვიპასუხებს პარტუჯრედი.

სისტემატიურად ლოთობენ და ყოველგვარ დავალებებს გაურბიან **ვ. დოლიძე** და **ს. ლორია.** 28 სექტემბერს მათ უარი განაცხადეს დასწრებოდენ კრებას. „**ჩვენ სხვა საქმეებით ვართ დატვირთული**“-ო, მართლაც, შემდეგ ისინი სამიკიტნოში აღმოაჩინეს. პარტიის წევრმა **მ. ჩიფოღლიმ** 28 სექტემბერს მუშებთან განაცხადა: „**რად გინდათ კრება“ წადით სახლში დაისვენეთო.**“ ჩიფოღლის ამ გამოძახილს ფართედ გამოეხმაურენ ცრუდამკვრელები **საგაშვილი და ასკილეისკირი.**

ქურდობაში შემჩნეულია **ბესელია.** 28 სექტემბერს მატარებელ № 81 ბესელია მიყვებოდა ვაგონ № 2023-ს. პლატფორმა **ხორბაზე** მან მოიპარა რამდენიმე ცალი შეშა.

სისტემატიურად არღვევენ შრომის დისციპლინას მწონავები: **ა. თოფურია** და **დ. ცაგარეიშვილი;** 22 სექტემბერს ხორბლეულით დატვირთულ ვაგონების საბუთები მათ არ შეაყენეს დროზე და ამით მოაცდინეს ვაგონები. არიან აგრეთვე ისეთი კომკავშირლები, რომლებიც ადმინისტრაციის განკარგულებებს არ ასრულებენ. ასეთებია: **გოგისვანიძე** და **ლუბა შონია.** რომელმაც ძირასამუშაოზე წასვლაზე უარი განაცხადა და ბოლოს გაიპარა კიდეც. შრომის დისც. აგრეთვე არღვევს **მ. თოფურია,** რომელიც მთელ დროს ლაზლანდარობაში ატარებს და ცნობებს დროზე არ ამზადებს. მოძრაობის დარგში თავი შეაფარეს სახელმწიფო ქონების გამნიავებლებმა. მაგ.: **მ. წვერავამ**, რომელმაც მოიპარა 17 ცალი კასრი, ა. კუციამ, კ. კახიანმა და სხ.,

სახელმწიფო თანხებს ანიავებენ

ხორბლეულის გადაზიდვებთან დაკავშირებით, ფოთის მოძრაობის დარგი აწარმოებს ვაგონების ფარების შეკეთებას, მაგრამ სადგურის უფროსის დაუდევრობის გამო, ფარების შეკეთებაზე სახელმწიფო თანხები უთავბოლოდ იხარჯება. სადგურის უფროსმა **მ. რომანაშვილმა** ფარების შეკეთებაზე მოაწყო თავისი ძმა-ბიძა **სვანიძე**, რომელიც წინად მუშაობდა სავაგონო დეპოში. ლოთობისათვის იგი დეპოდან მოხსნეს და გაასამართლეს. **რომანიშვილმა** და **სვანიძემ** ფარების შეკეთებაზე დააწესეს თავისებური ტარიფი „**თუ ფული მექნება მარკოზ, ღვინოც არ მოგაკლდებაო.**“—დაპირდა **სვანიძე** სადგურის უფროსს რომანიშვილს. სვანიძემ აგვისტოში უკანონოდ მიიღო 1.450 მანეთი სექტემბერში კი მისი „ხელფასი“ 2 ათას მანეთამდე ავიდა. რასაკეთებს სვანიძე? არაფერს ისეთს, რომ ორი ათასი მან. ერგოს. ფარების შეკეთებაზე გეგმით სულ უნდა დახარჯულიყო სამი ათასი მანეთი. ფაქტიურად კი 28 ივლისიდან 28 სექტემბრამდე დაიხარჯა 22.158 მანეთი და 9 კაპ. სად არის აქ პარტიული და პროფორგანიზაციების კონტროლი? „**ერთმმართველობაში არ ვერევითო**“ გაიძახიან ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შეიძლებოდა თუ არა ფარების შეკეთება ტარიფის მიხედვით ეწარმოებიათ? შეიძლებოდა, და ასეც უნდა ყოფილიყო; მაგრამ ასე არ მოხდა. აქ დღესაც არავინ იცის, თუ რამდენი ფარია შეკეთებული, რამდენაა სადგურის განკარგულებაში და სხვა. დეპოდან გაძევებულმა სვანიძემ, რომელმაც რომანიშვილის შემწეობით თავი შეაფარა მოძრაობის დარგს ამ უკანასკნელთან ერთად სასტიკი პასუხი უნდა აგოს.

სალიანდაგო დარგი ცუდად მუშაობს

ფოთის სალიანდაგო დარგის სამკუთხედს შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვისათვის მოსამზადებლად არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებია. ლიანდაგის დარგის უფროსი **მარგულაია** მხოლოდ კაბინეტიდან იძლევა ბრძანებებს, პარტუჯრედის მდივანი **შენგელია** და საამქრო კომიტეტის თავმჯდომარე **კობალაძე** კი მარგულაიას გავლენის ქვეშ იმყოფებიან და ხმას არ იღებენ. ლიანდაგი სრულიად უვარგისადაა შეკეთებული. მაგ. შუა მოლის ხაზი მიტოვებულია უყურადღებოდ, ამ ხაზის ჯვარედინზე სამჯერ ჩავარდა და 4 დღით მოცდა ვაგონი № 663888. ჩრდილო მოლის ხაზზე (ეს ხაზი სრულიად უვარგისია) 9 სექტემბერს რელსის გადაბრუნების გამო ჩავარდა 10 ვაგონი, (მოცდა 8 საათით) სრულიად უვარგისია აგრეთვე სავაგონო დეპოს ჩიხები. ლიანდაგი ზოგან ჩაფლულია მიწაში და მის შესაკეთებლად ზომები არ არის მიღებული.

მხოლოდ ფოთის სავაგონო დეპო შედგა გაჯანსაღების გზაზე. დეპო გეგმას ახლა გადაჭარბებით ასრულებს. მაგ. 26 სექტემბერს დეპოში შესაკეთებლად შემოვიდა 52 ვაგონი, შეკეთებიდან გავიდა ყველა, 27 სექტემ. გასინჯვაზე შემოვიდა 57 ვაგონი, გასინჯვიდან გავიდა ყველა 28 სექტემ. შემოვიდა 25 ვაგონი, გავიდა ყველა მაგრამ ეს პირველი ნაბიჯია წინ. დეპოში მოსალოდნელია გარღვევები, რადგან ხშირად მას უგზავნიან უვარგის მასალებს. მაგ.: 29 სექტემბერს სამტრედიის ხამასალო საწყობმა გამოგზავნა სრულიად უვარგისი ფიცრები.

სავაგონო დეპოს ახლა ესაჭიროება 10 ფურცლიანი რესორები, ჯახრაკის ჭიქები, საკისურები, თეფშები ნორმალური და გაძლიერებული და სხ. დეპო ამ მასალებით სასწრაფოდ უნდა უზრუნველვყოთ; დეპოს არა აქვს ტელეფონი, რაც მისთვის აუცილებლად საჭიროა. მის შესახებ დროზე ეცნობა კავშირგაბმულობის დისტანციის უფროსს, მაგრამ მან ჯერჯერობით ფოთისათვის დღემდის ვერ მოიცალა.

გ. სიხარულიძე.

ერიო კვლავ აირჩიეს რადიკალების პარტიის თავმჯდომარედ

პარიზი, 6 ოქტომბერი. რადიკალების ყრილობის პირველი დღეს ვიშიში ერთხმად, ხელახლა იქნა არჩეული ავადმყოფი ერიო რადიკალური პარტიის თავმჯდომარედ (ადს).

ერიოს ნახვა აკრძალულია

პარიზი, 6 ოქტომბ. ლიონიდან იუწყებიან, რომ საღამოს ერიოს ტემპერატურამ ცოტათი აიწია თუმცა ის უფრო დაბალია წინადღეს ტემპერატურასთან შედარებით. ავადმყოფის ჯანმრთელობაში გართულების თავიდან აცილების მიზნით, ექიმებმა სასტიკად აკრძალეს მასთან მისვლა (ადს).

ავაგოთ ზემძლავრი სტრატოსტატი

წითელდროშოვანი № 39 ქარხნის სამკუთხედის მიმართვა

მოსკოვი, 5 ოქტომბერი. გაზეთ „ზა ინდუსტრიალიზაციუში“ გამოქვეყნებულია წითელდროშოვან № 39 ქარხნის სამკუთხედის მიმართვა, რომელიც მიღებულია ქარხნის პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო აქტივის კრებაზე. ეს მიმართვა წინადადებას იძლევა აგებულ იქნას ახალი, ზემძლავრი სტრატოსტატი, რომელიც საშუალებას მოგვცემს ჩავატაროთ სტრატოსფეროში უაღრესად სერიოზული, ღრმა და ხანგრძლივი სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობა.

ქარხნის კოლექტივი წინადადებას აძლევს ავიამრეწველობის შეფს-გაზეთ „ზა ინდუსტრიალიზაციუს“ გამოაცხადოს სახსრების შეგროვება სტრატოსტატის ასაგებად და მიაკუთვნოს მას ჩვენი პარტიის ბელადის **ამხ. სტალინის** სახელი.

„ისე როგორც ამხ. სტალინის და ლენინური ცენტრ. კომიტ. ხელმძღვანელობით ჩვენ ვიპყრობთ სულ ახალ და ახალ პოზიციებს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, ისე ამ ხელმძღვანელობით ჩვენ უნდა დავიპყრათ სტრატოსფეროც. წინადადებას ვიძლევით ჩვენი მიმართვა განხილულ იქნას ყველა მუშათა ინჟინერთა და მეცნიერთა კოლექტივებში იმ ვარაუდით, რომ უახლოეს ვადაში შევუდგეთ სტრატოსტატის მშენებლობას.

ქარხანა კისრულობს დააპროექტოს და ააგოს ისეთი გონდოლა, რომელიც უზრუნველყოფს ამ ამოცანის გადაჭრას.

ღებულობს რა ქარხნის წინადადებას, გაზეთი „ზა ინდუსტრიალიზაციუ“ მიმართავს ყველა საქარხნო კოლექტივს, მუშათა, ინჟინერთა და მეცნიერთა საზოგადოებრიობას და პრესას წინადადებით —განიხილონ და მხარი დაუჭირონ წითელდროშოვანი ქარხნის ინიციატივას (ადს).

მთელი ძალღონით და საშუალებებით მივიღოთ მონაწილეობა ზემძლავრი სტრატოსტატის მშენებლობაში

ლენინგრადი, 5 ოქტომბერი, მენჟინსკის სახელობის წითელდროშოვანი ქარხნის წინადადებამ ზემძლავრი სტრატოსტატის „სტალინის“ აგების შესახებ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა ლენინგრადის მუშებს შორის. სტალინის სახელობის ლითონის ქარხნის—უმაღლეს ტექნიკური სასწავლებლის მუშათა სახელდახელო მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც მხარს უჭერს მენჟინსკის სახ. ქარხნის მუშების ინიციატივას. „ჩვენი ქარხნის დამკვრელთა ძალებით ნათქვამია რეზოლუციაში, აგებულია გონდოლა სტრატოსტატ „თავდაცვა-ავიაქიმისათვის“. ამ გამოცდილების მიხედვით ჩვენ მზად ვართ მთელი ჩვენი ძალებით და სახსრებით მხურვალე მონაწილეობა მივიღოთ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის სახელობის ზემძლავრი სტრატოსტატის აგებაში“ (ადს).

„საბჭოთა კავშირის მცხოვრებნი თვითონ განაგებენ თავიანთ ქვეყანას“

მაკ — ადუს განცხადება.

პარიზი, 5 ოქტომბერი, როგორც „ნიუ-იორკ-ჰერალდის“ პარიზის გამოცემა იუწყება, საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულმა ამერიკელმა სენატორმა მაკ — ადუმ პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა:

„წინათ მე საჯაროდ ვაცხადებდი, რომ ჩვენ უნდა ვიცნოთ საბჭოთა კავშირი. ჩემმა ხანმოკლე მოგზაურობამ საბჭოთა კავშირში მხოლოდ განამტკიცა ჩემი რწმენა ამ მხრივ. მოსკოვი — ყველაზე უფრო საქმიანი ქალაქია ყველამ იმ ქალაქებს შორის, რომლებიც მე მინახავს. ქუჩები სავსეა ხალხით. ყველა საქმითაა გართული და, როგორც ჩანს, ყველა ბედნიერია. ყველას აქვს სამუშაო, კიდევ მეტი საბჭოთა კავშირის მცხოვრებთ აქვთ რწმენა, რომ ისინი თვითონ განაგებენ, თავის ქვეყანას და შეადგენენ მთავრობის ნაწილს, რომ თვითეული მათგანი უზრუნველყოფილი იქნება მოხუცებულობის დროს და რომ ახლა მათი მდგომარეობა უკეთესია, ვიდრე ცარიზმის დროს მე ვფიქრობ. საბჭოთა კავშირის ცნობა საშუალებას მოგვცემს საგრძნობლად გავადიდოთ ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობა. მე ვერავითარ საფუძველს ვერ ვხედავ იმისათვის, რომ თავი შევიკავოთ საბჭოთა კავშირის ცნობისაგან, რამდენადაც ეს გაგვიადვილებს შესაძლებლობას გავაფართოვოთ კრედიტები, რომლებიც გააუმჯობესებენ ჩვენს ვაჭრობას საბჭოთა კავშირთან“ მაკ — ადუს საბოლოო სიტყვებს გაზეთი ასე გადმოგვცემს:

„იგი ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის ცნობის შანსები მეტწილად დამოკიდებულია აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, ვიდრე კონგრესზე. როგორც აღნიშნავენ, რუზველტი თანაგრძნობით ეკიდება ცნობის იდეას და, მისი აზრით, უკვე მიმდინარე წელს განახლდება დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან“. (ადს)

გარდაიცვალა საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საქ. კომიტეტის მდივანი ამხ. გაზა

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება ჩვენი პარტიის აქტიური ხელმძღვანელი მუშაკის, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრის, საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მდივნის — **ივანე ივანეს ძე გაზას** გარდაცვალებას.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტი და ა-კ. რკინის გზის მე-2 რაიონის პოლიტგანყოფილება, 10 ოქტომბერს, საღამოს სრულ 7 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში იწვევს

ტფილისის კვანძის კომუნისტ-რკინისგზელთა აქტივის კრებას

დღის წესრიგი:

ა-კ. რკინის გზის პოლიტგანყოფილების უფროსის ამხ. **შვარცის** მოხსენება ტფილისის რკინის გზის კვანძის მდგომარეობის და რკინის გზის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ.

ბილეთები ნაწილდება პარტუჯრედებს შორის.

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტი.
ა-კ. რკ. გზის მე-2 რაიონის პოლიტგანყოფილება

3—1

საქართველოს

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. 2 ოქტომბრის დადგენილების რეალიზაციით

უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ საქართველოს საბჭოთა მწერლობა

საბჭოთა მწერლების აქტივის საგანგებო კრების რეზოლუცია

მიღებული 5 ოქტომბერს ამხ. ტოროშელიძის მოხსენების გამო საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 2 ოქტომბრის დადგენილების შესახებ

1. გაეცნო რა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 2 ოქტომბრის დადგენილებას, „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" — სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, კავშირის საბჭოს წევრებთან და მწერალთა აქტივთან ერთად მხურვალედ ესალმება საქარ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ამხ. ლ. ბერიას მეთაურობით, რომელმაც ხსენებული დადგენილების სახით მოგვცა კიდევ ერთი უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტი პარტიის გაძლიერებულ ყურადღებისა და მზრუნველობის საბჭოთა მხატვრულ მწერლობის მიმართ.

2. სხდომა აღიარებს, რომ ცეკას 2 ოქტომბრის დადგენილება მტკიცე ნიადაგს უქმნის საქართველოს საბჭოთა მწერლობის ზრდისა და განმტკიცების საქმეს, იგი დროულად ამახვილებს საბჭოთა მწერლობის ყურადღებას მიმდინარე ეტაპის პირველხარისხოვან იდეურ შემოქმედებითი ამოცანების ირგვლივ, სწორედ მიუთითებს ლიტერატურულ ფრონტზე არსებულ ნაკლოვანებებს და უზრუნველყოფს საბჭოთა მწერლობის ნაყოფიერ შემოქმედებითი და ორგანიზაციული მუშაობისათვის აუცილებელ მატერიალურ საყოფაცხოვრებო პირობებს.

საქართველოს საბჭოთა მწერლობის კავშირი სიტყვას აძლევს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ამ დადგენილების ნიადაგზე ჯგუფობრიობის, მემარჯვენეობის, როგორც დღევანდელ ეტაპზე მთავარი საფრთხის და „მემარცხენე" ვულგარიზატორული პოლიტიკის ყოველგვარი ნაშთების აღმოფხვრით კიდევ მეტად გააძლიერებს საბჭოთა მწერლობის მთელი ძალების დარაზმვას პარტიის პოზიციებისა და სოცმშენებლობის ამოცანების ირგვლივ, კიდევ უფრო გააცხოველებს შემოქმედებითი მუშაობას და გაამახვილებს ბრძოლას მარქსისტულ - ლენინური მსოფლმხედველობის სიწმინდისათვის ლიტერატურულ ფრონტზე — ანტი-პროლეტარული იდეოლოგიის, ნაციონალიზმის და სხვა ყოველგვარ დამახინჯებათა წინააღმდეგ განმანადგურებელი იერიშების მიტანით.

საბჭოთა მწერლების კავშირი კისრულობს ვალდებულებას, პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით ღირსეულად მომზადებული შეხვდეს საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობას და ხსენებულ ყრილობაზე წარსდგეს პარტიის 23 აპრილის ისტორიულ დადგენილების რეალიზაციის მნიშვნელოვანი მაჩვენებლებით.

3. სხდომა ავალებს კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებს, ფართოდ იქნას დამუშავებული ცენტრალური კომიტეტის 2 ოქტომბრის დადგენილება, როგორც ტფილისში, აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ქუთაისის მწერალთა ორგანიზაციებში.

4. სხდომა ავალებს კავშირის სამდივნოს სამი დღის ვადაში შეიმუშაოს ცეკას 2 ოქტომბრის დადგენილების რეალიზაციისათვის მწერალთა კავშირისაგან დამოკიდებულ ღონისძიებათა განხორციელების კონკრეტული გეგმა და დაუყოვნებლივ გაშალოს მუშაობა მისი შესრულებისათვის.

საბჭოთა მწერლების აქტივის საგანგებო კრება

5 ოქტომბერს, მწერალთა სასახლეში, შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა კავშირის საბჭოს წევრებთან და მწერალთა აქტივთან ერთად, რომელზედაც კავშირის თავმჯდომარე **ამხ. მალაქია ტოროშელიძე** გამოვიდა საინფორმაციო მოხსენებით საქართველოს კომ. პარტიის (ბ) ცეკას 2 ოქტომბრის დადგენილების გამო „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

ამხ. ტოროშელიძის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოსული საბჭოთა მწერლები აღნიშნავდენ რა, ცეკას დადგენილების უდიდეს მნიშვნელობას საბჭოთა მწერლობის ზრდა - განვითარებისათვის ყოველმხრივად ხელის შემწყობ პირობების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ხაზს უსვამდენ იმ გარემოებას, რომ ცეკას ეს დადგენილება კიდევ მეტად ზრდის საბჭოთა მწერლის პასუხისმგებლობას და მოვალეობას. ორატორები განსაკუთრებით ეხებოდენ ცეკას დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებებს მწერალთა კავშირის მუშაობაში: (მასიური სალიტერატურო მოძრაობის დარგში, შემოქმედებითი დისკუსიის ხაზით და სხვა). სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო საკავშირო საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობისათვის სამზადისის საკითხებმა და ლიტერატურულ ფრონტზე ანტი - პროლეტარული იდეოლოგიის ყოველ გვარ გამოხატულებებთან ბრძოლის ამოცანებმა.

კრებამ მიიღო რეზოლუცია ცეკას 2 ოქტომბრის დადგენილების გამო. ცეკას ხსენებული დადგენილებით დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის და ამ მიზნით მწერალთა კავშირის მუშაობის გასაძლიერებლად, კრებამ დაადგინა ჩამოაყალიბოს **კავშირის სამდივნო**, როგორც უფრო ელასტიუროპერატიული ორგანო და უფრო მეტად შესაფერი კავშირის წინაშე დასახულ ამოცანებისათვის. **სამდივნოს შემადგენლობაში** კრებამ დაამტკიცა შემდეგი ამხანაგები: **ამხ. ამხ. მ. ტოროშელიძე (კავშირის თავმჯდომარე) დ. დემეტრაძე, ბეს. ჟღენტი, ნ. მიწიშვილი და პ. ჩხიკვაძე.**

დასასრულ კრებამ განიხილა საკავშირო მწერალთა საორგანიზაციო კომიტეტის მიერ ქართული მწერლობის შესასწავლად გამოყოფილი ბრიგადის ხელმძღვანელის ამხ. პავლენკოს მიმართვა ქართული მწერლობის პოპულარიზაციისა რუსეთის მკითხველთა მასებში და ქართველ და რუს მწერალთა ურთიერთ დაახლოვების საკითხებზე.

კრებამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი ამ მიმართულებით და გამოყო სპეციალური ბრიგადა, რომელსაც დაევალა ამ ღონისძიებათა განხორციელება. ბრიგადის შემადგენლობაში კრებამ აირჩია **ამხ. მიწიშვილი, დემეტრაძე, ჩხიკვაძე, ლევ. ასათიანი და ლისაშვილი.**

სხდომამ დაავალა აგრეთვე ამხ. ამხ. რადიანს, ბეს. ჟღენტს, ბენ. ბუაჩიძეს, პ. ქიქოძეს და გ. ნატროშვილს სისტემატიურად ითანამშრომლონ საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის და საქართველოს მწერალთა კავშირის ბრიგადებთან რუსულ პრესაში, ქართული მწერლობის შესახებ წერილების, ბიბლიოგრაფიების და სხვა მასალების სისტემატიურად მოთავსების საქმეში

დიდი მნიშვნელობის დოკუმენტი

1932 წლის 23 აპრილს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა ისტორიული მნიშვნელობის დადგენილება, რითაც მთელ საბჭოთა მწერლობას და სალიტერატურო ორგანიზაციებს გაუშალა განუსაზღვრელი შესაძლებლობანი შემოქმედებითი და პრაქტიკულ - საზოგადოებრივი მუშაობისა.

ამ დადგენილების ნიადაგზე შექმნილმა ახალმა პირობებმა მოახდინეს უპარტიო მწერლების ფართო მასებში ისეთ ძვრა და რადიკალური გარდატეხა, რომ მწერლების საუკეთესო, აქტუალური და შემოქმედებითი ძალები ერთსულოვნად და ყოველგვარ მერყეობის გარეშე დაირაზმენ პარტიისა და ხელისუფლების მიერ დასახულ ამოცანათა ირგვლივ და, გაერთიანდენ რა პროლეტარულ მწერლებთან ერთად ახლად შექმნილ სალიტერატურო ორგანიზაციებში, საბოლოოდ დაუკავშირეს თავისი შემოქმედება სოციალიზმის მშენებელ მუშათა კლასის ინტერესებს.

მწერლობის ფართო ფენებში ასეთი ძირითადი გარდატეხის შესაძლებლობანი საკმაოდ შეამზადა საბჭოთა კავშირის გამარჯვებებმა კულტურულსა და სამეურნეო ფრონტზე, ხუთწლედის ბრწყინვალეთ დამთავრებამ და იმან, რომ ყოველგვარი ანტიპროლეტარული იდეოლოგია, ერთ დროს მწერალთა ზოგიერთ წრეებში საკმაოდ ძლიერი, ეხლა უკვე საბოლოოდ განწირული და განადგურებულია.

როგორც ვიცით, 23 აპრილამდე მომქმედ სალიტერატურო ორგანიზაციების და მათ ხელმძღვანელ ამხანაგების მიერ ამ ფაქტორების შეუფასებლობამ, ჯგუფობრივობამ, კარჩაკეტილობამ და სხვ. შეავიწროვა და შეფარგლა ამ ორგანიზაციების ასპარეზი და განაცალკევა საბჭოთა პლატფორმაზე მდგარი მწერლობის დიდი ნაწილი.

თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ცეკას 23 აპრილის დადგენილებას და რამდენად დროული იყო იგი, — ამის დამამტკიცებელია საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი ზრდა, მისი თემატიკის სიმდიდრე, პროდუქციის მხატვრული სიმაღლის გაძლიერება და ის, რომ საბჭოთა მწერლობის დიდი ნაწილი თანდათან უახლოვდება თანადროულობას, და მტკიცედ სდგება სოციალიზმის მშენებელ მუშათა კლასის მოწინავე რიგებში.

ეს პროცესი ინტენსიურათ მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის ყველა მხარეში და კერძოდ საბჭოთა საქართველოშიც.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს მწერალთა ორგანიზაციის პრაქტიკაში თითქმის სავსებით აღმოფხვრილ იქნა ძველი, პროლ. მწერ. ასოც. უარყოფითი და პარტიის მიერ დაგმობილი მეთოდები; წელმოტეხილია ჯგუფობრივობა და საბოლოოდ ნადგურდება მისი ყოველგვარი გამოსახულება; შექმნილია ფართო შესაძლებლობა კომუნისტ და უპარტიო მწერლებს შორის ამხანაგური ურთიერთობის განმტკიცებისა, იშვიათია კომ. ყოყოჩობა აღმოიფხვრა ამა თუ იმ მწერლის უსაფუძვლოთ დევნის ფაქტები. შედარებით ფრთხილი, უფრო მოფიქრებული და ხარისხოვანი ხდება კრიტიკა და დღითი დღე იზრდება მასში პასუხისმგებლობის გრძნობა, სწარმოებს მწერლობის ყველა საბჭოთა ძალების კონსოლიდაცია. მწერლობის აქტივი ჩაბმულია, როგორც ორგანიზაციულ საქმიანობაში, ისე შემოქმედებითი მუშაობის ახალ სიმაღლეზე აყვანისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

ჩვენ გვაქვს საკმაო საბუთები ქართული საბჭოთა მწერლობის შემოქმედების გააქტივების და ამ მიმართულებით მიღწეულ გარკვეულ გამარჯვებებისა.

აქვე უნდა ითქვას, რომ მწერალთა ორგანიზაციის მუშაობაში ადგილი ჰქონდა დეფექტებსაც: მივიწყებული იყო მასიური ლიტმოძრაობის და მწერლობაში ახალი კადრების გამოყვანის საკითხები, მწერლობა მოწყვეტილი იყო მკითხველ მასებისაგან, არ არსებობდა ჯეროვანი კონტაქტი მუშათა აუდიტორიასთან, მოუწესრიგებელი იყო რაიონებთან კავშირი და მწერალთა ორგანიზაცია სათანადო მონაწილეობას არ ღებულობდა წარმოებათა და კოლმეურნეობათა კულტურულ მომსახურებაში, ძალზე სუსტი იყო ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ოლქების ლიტერატურულ ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, არ არსებობდა გარკვეული სისტემა მწერალთა შემოქმედებითი მიმართულებების საქმეში, სუსტი იყო კავშირში შემავალ ეროვნულ სექციებისადმი ხელმძღვანელობა და ყურადღება და სხვ.

მიუხედავად ამისა, მწერალთა გაერთიანებულმა ორგანიზაციამ ამ წელიწად ნახევარში ჩაატარა საკმაოდ რთული და პასუხისმგებელი მუშაობის ერთი პერიოდი, უკეთ რომა ვსთქვათ, — პირველი პერიოდი და ამ პერიოდს მიჯნად დაედო საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 2 ოქტომბრის დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება.

შეიძლება ითქვას, რომ 23 აპრილის დადგენილების შემდეგ ქართულ საბჭოთა მწრელობის ისტორიაში 2 ოქტომბრის დოკუმენტი დარჩება დიდ პოლიტიკურ ფაქტად, რომელსაც აჰყავს ჩვენი მწერლობა შემდეგ, უფრო მაღალ საფეხურზე; უფრო მეტად აკავშირებს მას პარტიასთან და მის ამოცანებთან, აძლიერებს და მაღლა სწევს მწერლობის ავტორიტეტს და საშუალებას აძლევს მწერლობის გარკვეულ ფენებსაც კი თავი დააღწიონ სოციალისტურ თანამედროობისადმი მერყევ განწყობილებებს, საბოლოოდ უკუაგდონ დღემდე შემორჩენილი ანტიპროლეტარულ შეხედულებათა ყოველგვარი ნაშთები.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 2 ოქტომბრის დადგენილება ერთხელ კიდევ ამტკიცებს პარტიის დიდ მზრუნველობას ლიტერატურისადმი და, თავის თავად ცხადია, მწერლის პასუხისმგებლობას საკუთარი თავის, პარტიისა და ეპოქის წინაშე.

კმაყოფილება, რომელიც ქართული მწერლობის ფართო წრეებში გამოიწვია ცეკას ამ დადგენილებამ, გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ წარმატებით იქნება შესრულებული პარტიის მითითებანი, რომ ნაყოფიერად გაიშლება მწერლობის შემოქმედებითი და ორგანიზაციული ინიციატივა და რომ საკავშირო მწერალთა ყრილობაზე ქართული საბჭოთა მწერლობა გაიტანს ღირსეულ ნიმუშებს საკუთარი თავის სასახელოდ, სასახელოდ ქართველი მშრომელი ხალხისა და მისი ხელით ნაჭედ ახალი სოციალისტური ცხოვრებისა.

ნიკოლო მიწიშვილი.

ყურადღება პროდუქციის ხარისხს

მიუხედავად იმისა, რომ მწარმოებელ და მოვაჭრე ორგანიზაციებს პარტიისა და მთავრობისაგან მიცემული აქვთ კატეგორიული დირექტივები არ გამოუშვან ბაზარზე ცუდი ხარისხის პროდუქცია, აღნიშნული საკითხი მრავალი სამეურნეო ორგანიზაციისა და სამეურნეო მუშაკისათვის მაინც ჯერ კიდევ არ გამხდარა მათი მუშაობის ცენტრალური საკითხი ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სახელოსნოებისაგან მოვაჭრე ორგანიზაციები ძალიან ხშირად ყიდულობენ წუნდებულ ნაწარმს, მდარე ხარისხის და ხშირად პირდაპირ ფალსიფიცირებულ პროდუქტებს, მომმარაგებელი და მოვაჭრე ორგანიზაციები მათ მიერ შეძენილი საქონლის ხარისხს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, ვინაიდან იმედოვნებენ, რომ მყიდველი მაინც წაიღებსო. განსაკუთრებით დაუდევარ და დანაშაულებრივად უყურადღებო დამოკიდებულებას პროდუქციის ხარისხისადმი ადგილი აქვს ეგრეთწოდებულ დახურულ განმანაწილებლებში, რომელთა დანიშნულება თითქო ის უნდა იყოს, რომ მათ თავისი მომხმარებლები მოამარაგონ უკეთ, მოამარაგონ კარგი ხარისხის საქონლით და ხელმისაწვდომ ფასებში.

მაგრამ ნამდვილად ეს ასე როდია.

მდგომარეობის დასახასიათებლად მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე ფაქტს.

სპეციალური მომარაგების დახურული განმანაწილებელი კართოფილის ფქვილის სახით უშვებდა რაღაც მოშავო ფქვილის მასას. ჩვენ მიერ გამყიდველი ქალისათვის მიცემულ შეკითხვაზე როგორ ფიქრობს იგი: შეიძლება თუ არა კართოფილის ფქვილის სახით მომხმარებლისათვის ასეთი ფქვილის გაშვება—მან გვიპასუხა, რომ რაკი მაღაზიის გამგე მას ასეთ ფქვილს გასაყიდად აძლევს, ცხადია, რომ იგი კარგია. ჩვენს ასეთსავე შეკითხვაზე მაღაზიის გამგემ გვიპასუხა, რომ რაკი კონტორის გამგე მას გასაყიდად ასეთ პროდუქტს უგზავნის, ცხადია, რომ იგი კარგი ხარისხისაა.

კონტორის გამგე შეკითხვაზე—საერთოდ გაეგება თუ არა მას რაიმე კარტოფილის ფქვილის,—გვიპასუხებს, რომ იგი დიდხანს მუშაობდა სასურსათო ხაზით და კერძოდ „კარტოფილის ფქვილს იცნობს უკეთ, ვიდრე თავის თავს" (მისი სიტყვებია). ცოტა შედავების შემდეგ იგი გამოტყდა, რომ კართოფილის ფქვილი, რომელსაც ის იყიდის, „უკანასკნელი ხარისხისაა" და არც კი ვარგა საჭმარად (?)

ყველასათვის ცნობილია, რომ კარტოფილის ფქვილი მასობრივი მოხმარების საკვები პროდუქტია, ამასთან, უმთავრესად, ავადმყოფებისა და ბავშვებისათვისაა დანიშნული, მისი აუცილებელი და განმასხვავებელი თვისება უნდა იყოს აბსოლუტური სითეთრე და სისუფთავე. ხოლო რას აძლევს მომხმარებლებს დახურული განმანაწილებელი?

მოვიყვანოთ ქიმიური ლაბორატორიის ანალიზის დასკვნა:

„ფერი, სუნი, ზედმეტი მჟავიანობა, მიკროორგანიზმების მოქმედების ნაშთების სიუხვე და სახამებელის მარცვლების ლპობა მოწმობენ პროდუქციის მნიშვნელოვნად გაფუჭებას და იგი ადამიანის საჭმელად უვარგისად უნდა ჩაითვალოს".

იქნებ, აღნიშნული ფქვილის გამოყენება შეიძლება ტექნიკური მიზნებისათვის, მაგრამ იგი შეძენილია და რიგდებოდა სრულიადაც არა ასეთი დანიშნულებისათვის, რაც სპეცმომარაგების ამიერ-კავკასიის კანტორის ხელმძღვანელობამაც დაადასტურეს.

აღმოჩნდა, რომ აღნიშნული პროდუქტი საქართველოში შემოუტანია „ცენტროპლოდოვოშჩი"-ის ამიერ-კავკასიის კანტორის გარეული ხილეულის დამზადების წახალისებლად და ნაწილი დაუთმიათ დახურული განმანაწილებლებისათვის ავადმყოფთა და ბავშვთა მოსამარაგებლად.

ჩვენი წინადადების შემდეგ ეგრეთწოდებულ კართოფილის ფქვილის გაყიდვა შეწყვიტეს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ანთავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან დახურული განმანაწილებლების მუშაკებს, აგრეთვე მის მიმწოდებელს აბსოლუტურად უვარგისი საკვები პროდუქტის გაყიდვისათვის.

ავიღოთ მეორე პროდუქტი—მდოგვი, აგრეთვე მასობრივი მოხმარების საქონელი. ბევრი კოოპერატიული და სახვაჭრობის მაღაზიის ვიტრინები და თაროები სავსეა ქილებით, რომლებზედაც მიკრებულია პატარა იარლიყი, „რუსული მდოგვი".

ქიმიურმა ლაბორატორიამ მოახდინა ამ მდოგვის ანალიზი, რომლის აქტში ნათქვამია: „აღმოჩნდა, რომ უკლებლივ ყველა ქილა მოდებული აქვს ობი, რომლითაც დაფარულია, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მთლიანად გაჟღენთილია კორპების დასველებული ქაღალდის შუასადებში და ყულების საწებში; მდოგვის ქილების პირების სრულიად უმართებულოდ და შეუწყნარებლად დაცობის შედეგით ადგილი ჰქონდა მდოგვის დენას, მდოგვ-ეთეროვანი ზეთის გაქრობას და სითხის დაშრებას, მან დაკარგა თავისი გემო და თვისებები".

ასეთი პროდუქტი შეუძენია სახვაჭრობას 55 ათასი ქილის რაოდენობით და „შედარებით ვარგისი ნაწილის გახსნების" (?!) შემდეგ გასაყიდად გამოუშვიათ, რამდენიმე ხნის შემდეგ ასეთივე საქონელს, მაგრამ ბევრად უფრო მეტი რაოდენობით, იძენს და თავის ყველა წევრს ამარაგებს ცეკავშირის სავაჭრო კონტორა „[illegible]" [illegible] და ვიფიქროთ, [illegible] ბელია"-ო.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ როცა სახვაჭრობის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ჩვენ დაჟინებით მოვთხოვეთ გაესინჯა პურთან ერთად მის მიერ გასაყიდად გამოფენილი მდოგვი, მან ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა,—მისი „პირში ჩადება შეუძლებელია"-ო.

ავიღოთ სხვა დანიშნულების საგანი, ხოლო ხელდობრ ჰიგიენის დასაცავად საჭირო საქონელი—კბილის ფხვნილი; კარდონის კოლოფის წარწერა პლაკატს წააგავს; კოლოფის ხუთ მხარეზე ქართულად და რუსულად წარწერილია—„კბილის საუკეთესო ფხვნილი". საქმრეწკავშირის მეორე ხუთ წლედის სახელობის „ქიმკოოპის" ნაწარმი შიგნით კი, კბილის საუკეთესო ფხვნილის მაგივრად, იპოვით რაღაც მოშავო ფქვილის პატარა გუნდებათ შეკრულ და ხმარებისას სრულიად არასასიამოვნო მასას.

ახლა ავიღოთ კიდევ „ქიმკოოპის" მიერ არა მარტო ტფილისის, არამედ საკავშირო მასშტაბითაც გამოშვებული „შედედებული ნაცარტუტი". რომლის კოლოფზე ქართულად მიცემულია რჩევა-დარიგება მისი ხმარების შესახებ: „სარეცხი დაასველეთ წყალში გახსნილ უკრაინულ ნაცარტუტში, ერთ ვედრო წყალზე უნდა 4—5 კოვზი ნაცარტუტა" და სხ. ამ ნაცარტუტას უკრაინული წარმოშობა, „ქიმკოოპის" ქიმიკოსების აზრით, უნდა დაადასტუროს მხოლოდ იმან, რომ კოლოფზე დახატულია გობთან მდგომი უკრაინულ ტანისამოსში გამოწყობილი ქალი.

საინტერესოა, რომ „ქიმკოოპმა" მოახერხა და თავისი „უკრაინული ნაცარტუტა" რამდენიმე ვაგონის რაოდენობით გაგზავნა უკრაინაში, საიდანაც მიღებულია ანალიზის აქტები ფალსიფიკაციის შესახებ.

ფალსიფიცირებულ და მდარე ხარისხის საქონლის წარმოებაში განსაკუთრებით „ცხოველ მოღვაწეობას" იჩენენ სხვადასხვა წვრილი არტელები, ამხანაგობანი და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ეგრეთწოდებული საწარმოო განყოფილებანი, რომელნიც მყვირალა რეკლამის საშუალებით ძალიან ხშირად ყოველგვარ ნაგავს ასაღებენ (ქიმკოოპი, ქიმტემპი, ქიმშრომა, სიტკბო, წითელი ჯვრის, საშეფო საზოგადოების და სხ. საწარმოო წამოწყებანი). რითი ხსნის ზოგიერთი კოოპერატორი და სახვაჭრობის მუშაკი უვარგისი საქონლის ყიდვა-გაყიდვას და ცუდი ხარისხის პროდუქტების ჩაბარებისათვის მიმწოდებლის „ამნისტირებას" (რა თქმა უნდა, მომხმარებლის ხარჯზე)? ზოგიერთი მათგანი ამას იმით ხსნის, რომ საფინანსო-სავაჭრო გეგმა უნდა შევასრულოთ, ხოლო ბაზარზე საქონლის ნაკლებობაა; უნდა გავადიდოთ ბრუნვა, რომ აპარატის შესანახი ხარჯები დავფაროთო. მაგრამ განა ამ მიზეზებით შეიძლება გავამართლოთ პროდუქციის ხარისხისადმი სრულიად შეუწყნარებელი მიდგომა? განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ კარგი ხარისხის საქონელი ადიდებს მოთხოვნილებას და საქონელთბრუნვას? განა ცხადი არ არის, რომ კოოპერაციასა და სახვაჭრობაში უამრავი საქონლის თავმოყრა უმთავრესად მათ მიერ ცუდი ხარისხის საქონლის და მოხმარების საგნების დამზადების შედეგია? მომხმარებელი დავიწყებულია, მაგრამ იგი უნდა გახდეს აქტიური, მან უნდა მოითხოვოს კარგი ხარისხის საქონელი, მომხმარებელს ამის უფლება აქვს, იგი ვალდებულია ასე მოიქცეს. ეს აიძულებს მოვაჭრე ორგანიზაციებს უფრო მეტი მოთხოვნები წაუყენონ თავის მიმწოდებლებს და მომმარაგებელ ორგანიზაციებს.

ჩვენ არ შეგვიძლია არ მივუთითოთ იმ ორგანოებს სრულ უმოქმედობაზე, რომელნიც თვალყურს უნდა ადევნებდენ პროდუქტების, განსაკუთრებით სასურსათო პროდუქტების კარგ ხარისხს; ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ მეტად სუსტი მუშაობა და **უყურადღებობა ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი სასამართლო ორგანოების მხრით, რომელთა პრაქტიკაში არ ყოფილა არც ერთი საჩვენებელი პროცესი პროდუქციის ხარისხის და მისი ფალსიფიკაციის საკითხზე.** საქმეში მუშათა ფართო მასის ჩაბმით. მათ სრულიად დაივიწყებული აქვთ, რომ ამ საკითხზე არსებობს სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს მიერ ჯერ კიდევ 1929 წელს გამოცემული და საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს მიერ ამ ცოტა ხნის წინად იუსტიციის ორგანოებისათვის დადასტურებული კანონი, რომლის თანახმად სამრეწველო ან სავაჭრო საწარმოებიდან ცუდი ხარისხის ნაწარმის მასობრივად ან სისტემატიურად გამოშვებისათვის დამნაშავეებს მიეცემათ თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე ან იძულებით მუშაობა 1 წლამდე.

— **ხარისხის დარგში**,—ეხება ეს სამრეწველო საგნებს თუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას,—**საქმე კარგად ვერ არის; ხარისხისათვის ბრძოლას უნდა აწარმოებდნენ როგორც თვით მწარმოებელნი, ისე მოვაჭრე ორგანიზაციები, ხოლო ყველაზე მეტად მასობრივი მომხმარებელი.**

კ. ჩხენკელი.

პასპორტიზაციის მიმდინარეობის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის სამდივნოს 1933 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება

საქ. კპ. (ბ) ტფილისის კომიტეტის სამდივნო აღნიშნავს, რომ მთელი რიგი პარტიული, საბჭოთა პროფესიული, კოკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები აქამდე დაუშვებლად და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან პასპორტიზაციის საქმეს.

ტფილისის საბჭო, რაისაბჭოები, საქბინათკავშირი და რაიბინათკავშირები არ უწევენ, ოპერატიულ და კონკრეტულ ხელმძღვანელობას თავის ძირეულ რგოლებს, რათა მოამზადონ ისინი პასპორტიზაციის სამუშაოების სწორიათ გატარებისათვის რის შედეგათაც პასპორტიზაციის გატარების საქმეში ადგილი აქვს აშკარა თვითდინებას, საქმის მოუგვარებლობას საპასპორტო პუნქტების მუშაობაში და კლასობრივი სიფხიზლის მოდუნებას იმ ელემენტების გამოაშკარავების საქმეში, რომლებიც გასახლებული უნდა იქნან ტფილისიდან.

ტფილისის კომიტეტის სამდივნო ადგენს:

1. რაიკომებმა და რაისაბჭოებმა, საქართველოს საბინაო კოოპერაციამ და ალ. კ.კ-ის ტფილისის კომიტეტმა დაუყოვნებლივ უზრუნველყონ ფართო მასობრივ პოლიტიკური მუშაობის ნამდვილად გაჩაღება პასპორტიზაციის დარგში, ამასთან აქტიურად ჩააბან საწარმოთა სამკუთხედები, რაიბინათკავშირები, საქარხნო პრესა, დეპუტატები და კომკავშირლები პასპორტების გაცემის და პასპორტიზაციის ძირითადი ამოცანების შესასრულებლად ფართო პროლეტარული მასების ნამდვილად მობილიზაციის საქმეში.

2. იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს კონტროლი პასპორტების გაცემის საქმეზე და დახმარება გაეწიოს საპასპორტო პუნქტებს, დაეკისროს რაიონული საბჭოების თავმჯდომარეებს პერსონალური პასუხისმგებლობა რაიონში პასპორტიზაციის სწორად გატარებისათვის. რაიონული მილიციის უფროსებმა ყოველდღიურად გაუკეთონ მოხსენება რაისაბჭოების თავმჯდომარეებს რაიონში პასპორტიზაციის მიმდინარეობის შესახებ.

3. ყველა საწარმოების და დაწესებულებების სამკუთხედებმა ჩაატარონ საჭირო მუშაობა წარმოების დეზორგანიზატორების ბოროტ მოხეტიალეების და სამუშაო დღეების გამცდენების გამოსაშკარავებლად და წარუდგინონ მათზე მასალა საპასპორტო პუნქტებს. პარტუჯრედებმა და პარტკოლექტივებმა სისტემატიურად მოისმინონ ხელის შემწყობი კომისიების მოხსენებანი და უზრუნველყონ მათი სწორი ხელმძღვანელობა.

4. აღნიშნავს რა საწარმოთა და დაწესებულებათა ცალკეული ხელმძღვანელების დაუშვებელ დამოკიდებულებას საპასპორტო პუნქტების უფროსების შეკითხვებისადმი, ტფილისის კომიტეტის სამდივნო წინადადებას აძლევს ყველა ხელმძღვანელს საპასპორტო პუნქტების შეკითხვებზე მისცენ გარკვეული და სწრაფი პასუხი, წინადადება მიეცეს სარემონტო ქარხნის დირექტორს მოხსნას სამუშაოდან მეტაბელე სირაძე საპასპორტო პუნქტის შეკითხვისადმი დაუშვებელი დამოკიდებულებისათვის.

5. აღინიშნოს რაისაბჭოებთან არსებულ საჩივრების გამრჩევი კომისიების სუსტი მუშაობა და წინადადება მიეცეს რაისაბჭოების თავმჯდომარეებს უშუალოდ უხელმძღვანელონ ამ კომისიების მუშაობას და დაესწრონ მათ ყველა სხდომებს, ამასთან განიხილონ საჩივრები დაწესებულ ვადაში ყოველგვარი დაგვიანების გარეშე.

6. ვინაიდან მთელი რიგი პუნქტები შევსებულია დაბალი კვალიფიკაციის მუშაკებით, აგრეთვე ჯარში გასაწვევი ახალგაზრდებით და მოსწავლეებით, რომლებმაც უნდა მიატოვონ მუშაობა საპასპორტო პუნქტებში, წინადადება მიეცეს დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, პასპორტიზაციის საქმეზე მუშაობისაგან განთავისუფლებული ტექნიკური მუშაკების ნაცვლად გაგზავნონ თავისი დაწესებულებების სხვა მუშაკები.

აიკრძალოს შემდეგში პასპორტიზაციის ჩასატარებლად მობილიზებული პასუხისმგებელი ამხანაგების განთავისუფლება.

7. მასალა შემდეგ ამხანაგებზე, რომლებმაც დაარღვიეს პირდაპირი დირექტივა პასპორტიზაციის ჩატარების შესახებ და გამოიჩინეს ამ საქმის შეუფასებლობა, გადაეცეს ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს: სახელმწიფო ბანკი — ფედოტოვი, რომელმაც მისცა ცნობა სახელმწიფო ბანკის დაპატიმრებულ თანამშრომელს კიდეხლიანს; საქგზატრანსი— მეძმარიშვილი, რომელმაც მოქ. ფხაკაძეს მისცა ფიქტიური ცნობა; საქპურტრესტი —არუთინოვი, რომელმაც მისცა ცნობა ხმის უფლება ჩამორთმეულ ბაბაიანს; საქპურტრესტი — ჟორჟოლიანი, რომელმაც მისცა ცნობა ყოფ. კერძო ვაჭარს აბაშვილს; № 1 სახ. თამბაქო ფაბრიკა—ბუნტურიძე, რომელმაც სადგურების ბუფეტების გაერთიანების მოსამსახურეებს მისცა არ სწორი ცნობები, ბეჟანოვი, რომელმაც 27 სტანდარტული ცნობები მისცა ისეთ პირებს, რომლებიც არ ცხოვრობენ ტფილისში.

8. დაევალოს გაზეთების რედაქციებს ფართოდ და სისტემატიურად გააშუქონ პასპორტიზაციის მიმდინარეობა.

9. დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

ლეიპციგის პროცესი

ფაშისტურმა სასამართლომ ვერ შესძლო დაპატიმრებული კომუნისტებისათვის ბრალდების დამტკიცება

ინგლისის პრესა დადასტურებულად სთვლის ამხ. ტორგლერის უდანაშაულობას

საერთაშორისო საგამომძიებლო კომისიის მეორე სხდომის დასკვნა

პარიზი, 4 ოქტომბერი. რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების საქმეზე მომუშავე საერთაშორისო საგამომძიებლო კომისიის მეორე სხდომის დასკვნა ამბობს:

„საერთაშორისო საგამომძიებლო კომისია ჟენევაში შემდგარი მეორე სხდომაზე ადასტურებს ლონდონის თათბირის შემდეგ გამოქვეყნებულ თავის წინასწარი მოხსენების დასკვნებს.

გაეცნობა რა მოხსენებას ლეიპციგის პროცესის მსვლელობის შესახებ, აგრეთვე ბურჟერის მოხსენების ახალი ფაქტების შესახებ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ლონდონის თათბირის შემდეგ, საერთაშორისო საგამომძიებლო კომისია სთვლის, რომ ლეიპციგის პროცესის მთელი მსვლელობა აგრეთვე მთელი რიგი ახალი ჩვენებანი მრავალ პუნქტში ადასტურებენ ლონდონის მოხსენების დასკვნების სისწორეს. —

საგამომძიებლო კომისია სცნობს, რომ აუცილებელია ნათელი მოეფინოს ბრალდებულ ვან-დერ-ლუბეს უცნაური საქციელის მიზეზებს; რომ მთელი პროცესის განმავლობაში არ დადასტურებულა არავითარი კავშირი გერმანიის კომპარტიისა და რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდების შორის; აგრეთვე, რომ, ბრალდებულთა შვიდი თვის პატიმრობის და ბორკილებში ყოფნისა და ცხრაჯერ მათი დაკითხვის შემდეგ, სასამართლო ხელისუფლებამ ვერ წარადგინა ვერც ერთი ჩვენება, ვერც ერთი მამხილებელი საბუთი, რომელიც ამტკიცებდეს **ტორგლერისა, დიმიტროვისა, პოპოვისა და ტანევისათვის** წაყენებულ ბრალდებას. რომ ამ ოთხი ბრალდებულის უდანაშაულობა, წინანდებურ მოხსენებაში ნაჩვენები მიზეზების გამო, აშკარაა და ამჟამად ახალი ფაქტებით ნათლად დასტურდება, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულნი მოკლებული არიან საშუალებას თავისუფლად დაიცვან თავი; რომ ვან-დერ-ლუბე, ვითომ, მარტო მოქმედებდა, სრულიად არ არის მართალი როგორც ეს დამტკიცებული იყო წინანდელ მოხსენებაში და აღიარებულ იქნა თითონ იმ გამომძიებლის მიერ, რომელსაც საქმის წარმოება ჰქონდა დაკისრებული; ეჭვი, რომ ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელი პირები ცეცხლწაკიდებაში მონაწილეობდნენ, სერიოზულია წინანდელ მოხსენებაში აღნიშნული მიზეზების გამო და კიდევ უფრო ღრმავდება ზემოაღნიშნული მომენტებით და მთელი რიგი ახალი ფაქტებით. ამ მიზეზების გამო საგამომძიებლო კომისია ფიქრობს რომ გერმანიის სასამ. ხელისუფლებას გერმანული სამართლის მიხედვითაც არ შეუძლია კანონის დაურღვევლად გვერდი აუაროს არა მარტო იმის განხილვას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ბრალდებულთა გამართლებას, არამედ იმის განხილვასაც, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ნამდვილ დამნაშავეთა გამოაშკარავებას, საგამომძიებლო კომისია აცხადებს, რომ არ დაადგა რა ამ გზას ლეიპციგის პროცესი ძალაში სტოვებს და კიდევ უფრო ამკვიდრებს გავრცელებულ აზრს იმის შესახებ რომ სასამართლო ცდილობს სინამდვილის დამახინჯებას. ამიტომ საერთაშორისო საგამომძიებლო კომისია ადგენს, დაავალოს მუდმივ ბიუროს თვალყური ადევნოს ლეიპციგის პროცესის მსვლელობას, შეაგროვოს ახალი საინფორმაციო მასალა, რომელიც მსოფლიოს ყოველი კუთხიდან შემოდის, და მოიწვიოს კომისიის ახალი სხდომა, როცა კი ეს აუცილებელი გახდება.

საგამომძიებლო კომისია მადლობას უცხადებს საზოგადოებრივ აზრს, რომელიც მას ნდობით მოეპყრა, და მოწოდებით მიმართავს მართლმსაჯულების ყველა მომხრეს, პოლიტიკურ შეხედულებათა განურჩევლად, მიიღონ მონაწილეობა მის მუშაობაში, რომ ხელი შეუშალონ უსამართლობის ჩადენას".

დასკვნას ხელს აწერენ **მარო ჯიაფერი** (თავმჯდომარე), **ნეილ ლოუმპსონი** (მდივანი), **ბეტსი ბაკერ-ნორტი** (ჰოლანდია), **ბერჟერი** (საფრანგეთი), **გეორგ ბრანტინგი** (შვეცია) **ჰეისის** (ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატები), **ვარლეიმენი** (ბელგია).

ამხ. ტორგლერის დაკითხვა

პრაღა, 4 ოქტომბერი. 4 ოქტომბერს ლეიპციგის სასამართლოს სხდომის დასაწყისში თავმჯდომარემ ბიუნგერმა გამოაქვეყნა უცხოელთა ჯგუფის მიერ ხელმოწერილი შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„29 სექტემბერს პოლიციელებმა, ოფიცრის ბრძანებით, ხალხის თვალწინ სცემეს დიმიტროვს, რომელსაც უნდოდა თავის დამცველ ტეიხერთან მისვლა". დეპეშის გამოქვეყნების შემდეგ სასამართლოს მიერ დანიშნულმა დამცველმა ტეიხერმა და ზაკმა განაცხადეს: დიმიტროვისათვის კი არ უცემიათ, არამედ „მხოლოდ ძალით გაიყვანეს" სასამართლოს სხდომის დარბაზიდანო. ამის შემდეგ ბიუნგერმა განაცხადა, რომ „ინციდენტი ამოწურულია და ცემის შესახებ ლაპარაკი ზედმეტია".

დიმიტროვის მოთხოვნით, ვან-დერ ლუბეს აძლევენ კითხვას: უნახავს თუ არა მას წინათ ოდესმე დიმიტროვი, ვან-დერ-ლუბე უპასუხებს: „არა".

თავმჯდომარე: — განა დიმიტროვი თქვენთვის სრულიად უცნობია?

ვან-დერ ლუბე: დიახ.

შემდეგ ვანდერ-ლუბე ადასტურებს, რომ არც პოპოვი და ტანევი უნახავს არასოდეს.

სასამართლო გადადის კითხვებზე „რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდებაში ტორგლერის მონაწილეობის შესახებ". თავმჯდომარის შეკითხვაზე ტორგლერი უპასუხებს, რომ რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების დღეს იგი რეიხსტაგში იყო საღამოს 8 ს. 15 წუთამდე. თავმჯდომარე აცხადებს, რომ „ზოგიერთი მოწმის" სიტყვით, ტორგლერი უფრო გვიანაც იყო რეიხსტაგში. ტორგლერი უარყოფს, ამას და აღნიშნავს, რომ მან რეიხსტაგი დასტოვა დეპუტატ კენენთან და კომფრაქციის ტექნიკურ მდივანთან რენესთან ერთად. თავმჯდომარე აცხადებს, რომ 27 თებერვალს ტორგლერი რეიხსტაგში მივიდა ორი პორთფელით, „რომლებიც სტოვებდენ ისეთ შთაბეჭდილებას, რომ იქ რაღაც განსაკუთრებული რამ უნდა ყოფილიყო". ამაზე ტორგლერი უპასუხებს, რომ იგი თითქმის მუდამ შაბათობით მიდიოდა და ორშაბათობით მოდიოდა ორი პორთფელით, რომლებშიაც ეწყო წასაკითხავი გაზეთები და მასალები, ახლაც ზუსტად შემიძლია ჩამოვთვალო ყველაფერი, რაც პორთფელში ეწყო, ამის შემოწმებაც შეიძლება, რადგან ერთ-ერთი ჩემი პორთფელი ჩემს შკაფშიაა რეიხსტაგშიო. ამაზე თავმჯდომარე უპასუხებს, ორი „მოწმე" ამტკიცებს, რომ 27 თებერვალს თქვენ მიიტანეთ არა ეს პორთფელები, არამედ რაღაც სხვა და რომ „მორიდებით აცეცებდით თვალებს აქეთ-იქეთ".

ტორგლერი დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს, სად გაატარა ის დღე, როცა რეიხსტაგს ცეცხლი წაუკიდეს. იგი აღნიშნავს, რომ მივიდა რეიხსტაგში დაახლოვებით დილის 11 საათზე და ერთ წუთსაც არ დაუტოვებია რეიხსტაგის შენობა საღამომდე. თავმჯდომარე ამტკიცებს, თითქოს, ვიღაც მოწმე შმალს ტორგლერი რეიხსტაგის შენობასთან ენახოს ნაშუადღევის 2 საათზე, ე. ი. მალე იმის შემდეგ, რაც მან იქ, ვითომდა, დაინახა ვან-დერ-ლუბე. ამ მოწმის სიტყვით, ტორგლერი, თითქოს ტრამვაიდან გადმოვიდა „რაღაც პაკეტით". თავმჯდომარე საჭიროდ თვლის დაუმატოს, რომ „მოწმე არ არის დარწმუნებული, იყო თუ არა ეს სწორედ რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების დღეს" ტორგლერი კატეგორიულად უარყოფს, თითქოს, მას რეიხსტაგი დაეტოვებინოს ამ დღეს, აღნიშნავს რა, რომ შაბათს, რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდებამდე, იგი მართლაც წავიდა სადილად და დაბრუნდა რეიხსტაგში შეხვეული ნამცხვრით. თავმჯდომარე აცხადებს, რომ „მოწმის სიტყვით" ცეცხლის წაკიდების დღეს დეპუტატი კენენიც საეჭვოდ იქცეოდა". ამ შემთხვევაში საეჭვოდ მიჩნეულ იქნა ის, რომ კენენმა „სალამი არ მისცა რეიხსტაგის მოსამსახურეს; ამან დასტოვა შთაბეჭდილება, თითქოს არ ნდომებოდეს ვისმე დაენახოს იგი". ამაზე ტორგლერმა უპასუხა, რომ მას არაფერი ამის მსგავსი არ შეუნიშნავს. შემდეგ ტორგლერი კატეგორიულად უარყოფს ცეცხლის წაკიდების შემდეგ გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობების მტკიცებას, თითქოს, იგი, კენენი და ქალი—მდივანი „გაიქცნენ რეიხსტაგიდან". თავმჯდომარე იძულებულია განაცხადოს, რომ „ბრალდებაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რამდენად სწრაფად წავიდენ ტორგლერი და კენენი რეიხსტაგიდან".

თავმჯდომარის ხანგრძლივი და უნაყოფო ცდების შემდეგ, ტორგლერის ჩვენებაში აღმოაჩინა წინააღმდეგობა, ბიუნგერი ეკითხება ვან-დერ-ლუბეს: იყავით თუ არა ცეცხლის წაკიდების დღეს სადილის შემდეგ რეიხსტაგში ტორგლერთან ერთად?

ვან-დერ-ლუბე: არა.

თავმჯდომარე: — იცნობდით თუ არა ტორგლერს წინათ?

ვან-დერ ლუბე: — არა.

თავმჯდომარე:—თქვენ მას სრულიად არ იცნობთ?

ვან-დერ ლუბე: — არა.

თავმჯდომარე: — კატეგორიულად გეკითხებით, მარტო თქვენ წაუკიდეთ ცეცხლი რეიხსტაგს, თუ გეხმარებოდათ ვინმე?

ვან-დერ-ლუბე იღიმება და ხანგრძლივი კითხვის შემდეგ უპასუხებს:—მარტომ.

თავმჯდომარე: —მაშ როგორ ხსნით თქვენ სამი ექსპერტის დასკვნას, რომ მარტო თქვენ არ შეგეძლოთ ცეცხლი წაგეკიდებინათ რეიხსტაგისათვის?

ვან-დერ-ლუბე: —არ ვიცი.

დიმიტროვი: — ვან-დერ-ლუბეს არ შეეძლო მარტოს ჩაედინა ყოველივე ეს, მე ვეკითხები მას, როგორ ხსნის იგი, რომ ნეიკელნში ცეცხლი ვერ წაუკიდა პატარა სახლს, ხოლო აქ იგი ამტკიცებს, მარტო მე წავუკიდე ცეცხლი ვეებერთელა მკვრივად ნაგებ, საგულდაგულოდ დაცულ შენობასო.

თავმჯდომარე ამახინჯებს დიმიტროვის კითხვას და სთხოვს ვან-დერ-ლუბეს თქვას: რატომ ვერ მოახერხა მან მუნიციპალურ საქველმოქმედო სალაროს სახლისათვის ცეცხლის წაკიდება ნეიკელნში?

ვან-დერ-ლუბე: — არ ვიცი.

დიმიტროვი: ვან-დერ ლუბეს აძლევს მთელ რიგ კითხვებს, რომლებზედაც პასუხისგაცემა თავმჯდომარეს ზედმეტად მიაჩნია. ვოლფის სააგენტოს ოფიციალურ დეპეშაში ამ კითხვების შინაარსიც კი არ არის მოყვანილი, აღნიშნულია მხოლოდ რომ თავმჯდომარე დიმიტროვს დარბაზიდან გაყვანით ემუქრება:

შემდეგ თავმჯდომარე კვლავ იწყებს ტორგლერის დაკითხვას და აცხადებს, რომ მოწმეებმა ფელდმანმა და გენშელმა დაინახეს, თუ როგორ ეწეოდა ტორგლერი რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების დღეს „საიდუმლო ლაპარაკს". მაგრამ, ამ მოწმეთა ჩვენებებში არაფერი არ არის ნათქვამი არც ამ ლაპარაკის შინაარსის, არც იმის შესახებ, თუ ვისზე იყო ლაპარაკი, საერთოდ პროცესის დროებით შეწყვეტის შემდეგ მთავარ როლს თამაშობენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა „საეჭვო შთაბეჭდილება", „საიდუმლო ლაპარაკი" და სხვ. უმთავრესად ამის გარშემო არის ლაპარაკი ძირითად „მოწმეთა" ჩვენებებში. მაგრამ ამნაირი „მოწმეებიც" კი ვერ იძლევიან შეთანხმებულ ჩვენებებს.

თავმჯდომარე კითხულობს ვინმე ვებერ-შტედტის [illegible]. კომფრაქციის შენობის წინ მან ნახა ვან-დერ ლუბე და ტანევი „დიდი ყუთით", მაშინ, როცა „მოწმეებმა" [illegible], ფრეიმ და კროიერმა იქ, თითქოს, ნახეს პოპოვი.

სხდომის დასასრულს თავმჯდომარესა და ვან-დერ ლუბეს შორის გაიმართა თავმჯდომარისათვის დამახასიათებელი შემდეგი დიალოგი:

4 ოქტომბერს გამოძიების პროცესში გამოქვეყნებულ იქნა ცნობები, რომ 28 თებერვლისათვის ტორგლერმა და მეიბაუერმა დანიშნეს რეიხსტაგში თათბირი სოციალ-დემოკრატ დეპუტატებთან ერთად. რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდება კი მოხდა როგორც ვიცით 27 თებერვალს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია, რომელიც ამტკიცებს, რომ მათ სრულიად არავითარი კავშირი არ აქვთ ცეცხლის წაკიდებასთან.

ფიქრობენ, რომ ლეიპციგში პროცესი გასტანს 7 ოქტომბრამდე, ხოლო 10-დან იგი გაგრძელდება ბერლინში.

ამხ. დიმიტროვის დაკითხვა

პრაღა, 6 ოქტომბერი. გადადის რა დიმიტროვის დაკითხვაზე თავმჯდომარე ბიუნგერი კითხულობს კომინტერნის აღმასკომის ჰექტოგრაფირებულ მოწოდებას ერთიანი ფრონტის შესახებ 3 მარტის თარიღით და ეკითხება დიმიტროვს: საიდან გაჩნდა ეს მოწოდება გერმანიაში?

დიმიტროვი: უცხპრესკორის მეშვეობით.

თავმჯდომარე აღნიშნავს, უცხპრესკორს არა ერთხელ ჰქონია კონფლიქტი ხელისუფლებასთანო.

დიმიტროვი: ეს მე არ მაკვირებს.

თავმჯდომარე: თქვენი ახლო დამოკიდებულება უცხპრესკორთან განხილულ უნდა იქნას, როგორც იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ თითონ თქვენ გერმანიაში ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობას აპირებდით და აჯანყებას ამზადებდით.

დიმიტროვი: მე ვიყავი უცხპრესკორის ბულგარელი კორესპონდენტი და მხოლოდ ბულგარეთის საკითხებზე ვწერდი.

თავმჯდომარეს მოყავს ადგილები გერმანიის კომპარტიის მოწოდებიდან, რომლის სათაურია: „რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდება ნაციონალ-სოციალისტების პროვოკაციაა", დიმიტროვი აცხადებს, რომ არასოდეს არ უნახავს და ჰქონია ეს მოწოდება, რომ წინასწარ გამოძიებისას მის შესახებ არაფერი ყოფილა ნათქვამი და ითხოვს წაიკითხონ 9 მარტის პოლიციური დაკითხვის ოქმი.

თავმჯდომარეს მოყავს ნაწყვეტი ოქმიდან, რომელშიაც ნათქვამია დიმიტროვი ვითომ გამომტყდარიყოს, რომ გერმანული მოწოდებაც უცხპრესკორის მეშვეობითაა მიღებული. დიმიტროვი აღელვებული გაიძახის: „შეუძლებელია თქვენ მოგყავთ არა ის ოქმი, რომელიც მე დაკითხვის შემდეგ წამიკითხეს". თავმჯდომარე ამბობს, რომ ამ საკითხის გამო ჩვენებას მოგვცემს მისი დამკითხავი პოლიციელი.

დიმიტროვი: რამოდენიმე დღის წინათ პოლიციელმა გეიზიგმა აქ ფიცქვეშ განაცხადა, ვითომ მე პირველ დაკითხვისას.. თავმჯდომარე ტლანქად აწყვეტინებს დიმიტროვს სიტყვას განცხადებით: „ამას საქმესთან დამოკიდებულება არა აქვს [illegible]".

მაგრამ დიმიტროვი განაგრძობს და აცხადებს, რომ პოლიციელ გეიზიგის ჩვენება სიცრუეა. თავმჯდომარე კიდევ უფრო უკრძალავს მას ლაპარაკს და აცხადებს: „თქვენ ყოველთვის ცდილობთ დაამტკიცოთ, რომ გერმანიაში მარტო ბულგარეთის საქმეებზე მუშაობდით".

ინგლისის პრესა დამტკიცებულად სთვლის ტორგლერის უდანაშაულობას

ლონდონი, 6 ოქტომბერი. („პრავდას" სპეც. კორ:) ინგლისური გაზეთების კორესპონდენტები, უაღრესად რეაქციული გაზეთების კორესპონდენტებიც კი, ლეიპციგის სასამართლოს გუშინდელ სხდომასთან დაკავშირებით, დარწმუნებული არიან ტორგლერის უდანაშაულობაში „მორნინგ პოსტის" კორესპონდენტი სწერს:

„ტორგლერის უდანაშაულობა სავსებით დადასტურდა". ამასვე ამბობს „დეილი ექსპრესის" კორესპონდენტ-ც.

„ნიუს ქრონიკლის" კორესპონდენტი კამინგსი, რომელიც ირონიულად ეკიდება ნაციონალ - სოციალისტთა „მართლმსაჯულებას", სწერს:

„თავდაცვის დროს ტორგლერმა გამოიჩინა მახვილი ჭკუა და ცოდნა, მისმა დამშვიდებულმა, გონივრულმა პასუხებმა გამოააშკარავა მისთვის მიცემული კითხვების სასაცილოობა და უშინაარსობა. გერმანიის პრესა ცდილობს დაამტკიცოს, რომ ტორგლერი მალავს რაღაც საიდუმლოებას და რომ მისი ჩვენება, არ არის სწორი. ნამდვილად კი მის ჩვენებაში იდუმალებით მოცული არაფერია: მისი ჩვენებანი უაღრესად ნათელია და იგი ფრიად დაწვრილებით უპასუხებს თავმჯდომარის ყველა შეკითხვას" (ადს).

ორი ქარხანა, ორგვარი მუშაობა

ამ წერილში ლაპარაკი იქნება ორ ქარხანაზე, ადგილობრივი მნიშვნელობის ორ საწარმოზე. ორივე ეს საწარმო ამზადებს საშენ მასალებს, იყენებს ადგილობრივ ნედლეულს.

ამ ქარხნებიდან პირველია სენაკის კირის ქარხანა. ეს ქარხანა ადგილობრივი მრეწველობის სხვა ქარხნებს შორის განთქმულია თავისი კარგი მუშაობით, გეგმების გადაჭარბებითი შესრულებით, პროდუქციის კარგი ხარისხით. იგი მიჩნეულია წითელ დაფაზე შეტანის ღირსად. მან პირველი ადგილი დაიკავა შარშან კირის ქარხნების რესპუბლიკანურ შეჯიბრებაში; მან ყველაზე უკეთ შეასრულა გეგმა, საუკეთესო ხარისხის კირი მოგვცა.

მეორე ქარხანაა—ზესტაფონის აგურის ქარხანა. ისიც ცნობილია, მაგრამ არა კარგი, არამედ ცუდი მუშაობით. ზესტაფონის აგურის ქარხანა სისტემატიურად ვერ ასრულებს საწარმოო დავალებებს. იგი მოუქნელად მუშაობს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს აღმასკომის ხაზით წარმოებულ მშენებლობის მოთხოვნილებასაც კი. ამის ცოცხალ საბუთს წარმოადგენს დიდი ორსართულიანი შენობა, რომელიც ამ ერთი წლის წინათ დაიწყო ზესტაფონის ადგილობრივი მრეწველობის ტრესტს და აგურის უქონლობის გამო დღესაც არაა დამთავრებული.

სენაკელების მაგალითი

სენაკის ადგილობრივი მრეწველობის ტრესტის ხელმძღვანელებმა მოგვცეს მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ბრძოლა პარტიისა და ხელისუფლების დავალებათა შესასრულებლად.



სენაკის კირის ქარხნის ერთ-ერთი ღუმელი

სენაკის კირის ქარხანა შესდგება ორი დიდი ღუმელისაგან. ერთი ამუშავდა შარშან. ორივე ღუმელი დღე-ღამის განმავლობაში უშვებს 34 ტონა კირს. კირი საუკეთესო ხარისხისაა. სენაკის კირი საუკეთესოთაა მიჩნეული მთელ რესპუბლიკაში და ყველა საპასუხისმგებლო სამუშაოებზე ამ კირს ხმარობენ. გარდა ადგილობრივი მოთხოვნილებისა, სენაკის კირის ქარხანა აკმაყოფილებს ინგურქაღალდმშენის, საქ. ჩაის ფაბრიკების, საბჭოთა სავაჭრო ფლოტის, საქ. კურორტმშენის და მთელ რიგ სხვა საამშენებლო ორგანიზაციების მოთხოვნილებებს.

ერთი ტონა კირის დამზადება ჯდება 37 მან. 50 კაპ. ქარხანა უზრუნველყოფილია როგორც მუშა-ხელით ისე, საუკეთესო ხარისხის ნედლეულით და კონკრეტული პრაქტიკული ხელმძღვანელობით. მუშათა დენადობას აქ ადგილი არ აქვს. კირის ქარხნის მუშები უზრუნველყოფილი არიან ბინით და კარგი კვებით.

კირის ქარხნის ორ ღუმელს წლის განმავლობაში შეუძლია მოგვცეს 8.000 ტონა პროდუქცია. გადაწყვეტილია მომავალი წლიდან შეუდგენ მესამე ღუმელის მოწყობას იმ ანგარიშით, რომ იგი ამუშავდეს 1934 წლის მეორე კვარტალში. 1934 წლის განმავლობაში ქარხანამ უნდა გამოუშვას 7.000 ტონის ნაცვლად 15.000 ტონა კირი. მეორე ხუთწლედის ბოლოსთვის ქარხანაში აგებულ იქნება დამატებით კიდევ სამი ღუმელი იმ ვარაუდით, რომ ყოველწლიურად დამზადებულ იქნას 25.000 ტონა კირი.

ნედლეულით ქარხანა სავსებით უზრუნველყოფილია. ქარხნის მახლობლად მდებარე კირ-ქვა ასეულ წლების განმავლობაში ეყოფა ქარხანას.

კირის ქარხნის მახლობლად გახსნილია საშენი ქვის კარიერიც. აღნიშნული კარიერიდან ყოველწლიურად გამოაქვთ 30.000 კუბ. მეტრი საშენი ქვა. ქვა საუკეთესო ხარისხისაა. ქვა იგზავნება ინგურმშენზე და სხვა საამშენებლო სამუშაოებზე. მომავალი წლისათვის გადაწყვეტილია გაფართოებულ იქნეს აღნიშნული კარიერის დამუშავებაც. 1934 წლის განმავლობაში აქედან მიღებული უნდა იქნეს 60.000 კუბ. მეტრი საშენი ქვა, რისთვისაც საჭირო იქნება საკარიერო სამუშაოების მექანიზაცია.

სენაკის კირის ქარხანა რკინის გზის ლიანდაგიდან დაშორებულია 1 კილომეტრით. ქარხნიდან რკინის გზის სადგურამდე კირი მოაქვთ ურმებით, რაც იწვევს კირის თვითღირებულების თითქმის ერთი ორად ზრდას. ერთი ტონა კირის გადატანაში კერძო ტრანსპორტი ღებულობს 15 მანეთამდე. თუ ამას დავუმატებთ დანარჩენ ზედნადებ ხარჯებს, გამოვა, რომ ერთი ტონა კირის თვითღირებულება ფრანკო-რკინის გზის სადგურზე მიაღწევს 60 მანეთამდე. საკავშირო ლიმიტების მიხედვით, პროდუქციის საქარხნო თვითღირებულებაზე დანართი ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს 25 პროცენტს. ე. ი. ამ შემთხვევაში კირის ფასი უნდა იყოს (ფრანკო-რკინის გზის სადგური) არა უმეტეს 41—42 მანეთისა.

სენაკის კირის ქარხნის დირექტორის მოადგილე დაწინაურებული დამკვრელი მუშა—ამხ. იონა ლომია

ქარხანას ყოველთვის არ აქვს შესაძლებლობა ურმებით აწარმოოს კირის გადაზიდვა. ცუდ ამინდში კირის ურმით წაღება შეუძლებელია, რადგან დასველებისთანავე ფუჭდება. ამასთანავე, კერძო ტრანსპორტის შოვნა ყოველთვის არ ხერხდება. სას.-სამეურნეო სამუშაოების დროს ურმები კირის წასაღებათ არ გამოდიან, ქარხანაში გროვდება დამზადებული კირი და ხშირათ იძულებული ხდებიან შეაჩერონ კირის გამოშვება სიმცირის გამო.

სენაკის ადგილობრივი მრეწველობის ტრესტმა და რაისაბჭომ შუამდგომლობა აღძრეს სახკომსაბჭოს წინაშე სად. სენაკიდან ქარხანამდე რკინის გზის ჩიხის გაყვანის შესახებ. ჩიხის გაყვანა დაჯდება დაახლოვებით 150.000 მანეთი.

ჩიხის გაყვანა აუცილებელია. ხარჯები ანაზღაურებული იქნება პირველი წლის განმავლობაშივე.

სენაკის კირის ქარხნის მუშაობას აბრკოლებს ბევრი სხვა გარემოებაც. პირველ რიგში აქ აღსანიშნავია ქვანახშირის მიუწოდებლობა. ქარხანა ქვანახშირს ღებულობს ტყიბულიდან, მაგრამ არა სისტემატიურად—შემთხვევიდან შემთხვევამდე. ქარხნისათვის ნახშირის მიუწოდებლობა იწვევს ღუმელების გაცივებას, რაც დღიურათ ათასი მანეთის ზარალს უდრის. ღუმელის გახურებას და ქვის გამოწვის პროცესის დაწყებას სჭირდება 15—20 დღე. ამ ხნის განმავლობაში უნდა გაჩერდეს ქარხანა, თუ მან ვერ მოიმარაგა ქვანახშირი.

მეორე დაბრკოლებაა—მუშათა საცხოვრებელი სახლების უქონლობა. დღემდე ქარხნის მუშები სცხოვრობენ კერძო სახლებში დაქირავებულ ბინებში, რაც მძიმე ფინანსიურ ტვირთად აწვება წარმოებას.

მესამე დაბრკოლებაა—კრედიტების სიმცირე. საქ. სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა შორის განაწილებულ 1.600.000 სენაკის კირის ქარხანას უნდა მიეღო 80.000 მანეთი, ხოლო საშენი ქვის კარიერებს—50.000 მანეთი. არც ერთი მანეთი ამ თანხიდან არაა მიღებული და ადგილობრივი მრეწველობის ტრესტის იძულებული გახდა კაპიტალურ მშენებლობაში დაებანდებია საკუთარი თანხა 30.000 მანეთი.

მიუხედავად ყველა ამ დაბრკოლებებისა, მიუხედავად იმისა, რომ სენაკის კირის ქარხანას არ ჰქონდა ქვანახშირი, არ იყო უზრუნველყოფილი ტრანსპორტით და სხვ. მან მაინც შესძლო 8 თვის საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულება. 1-ლი სექტემბრისათვის ქარხანას უნდა დაემზადებია 2.030 ტონა კირი, ხოლო ფაქტიურად დაამზადა 2.165 ტონა, რაც დავალების 109,1 პროცენტს უდრის.

ფორმალური ხელმძღვანელობის შედეგი

ზესტაფონის აგურის ქარხანამ მიმდინარე წლის განმავლობაში უნდა დაამზადოს 1,200.000 ცალი გამომწვარი აგური და 1.800.000 ცალი ნედლი აგური. განვლილი 8 თვის განმავლობაში ქარხანას უნდა გამოეშვა 800.000 ცალი გამომწვარი აგური, ფაქტიურად გამოუშვა 564.000 ცალი, გეგმის 70,5 პროცენტი. ნედლი აგურის გამოშვების გეგმა კიდევ უფრო დიდი ჩამორჩენითაა შესრულებული. ნაცვლად 1.250.000 ცალისა, 1-ლი სექტემბრისათვის ქარხანამ დაამზადა 596000 ცალი ნედლი აგური, რაც საწარმოო დავალების 47 პროცენტს უდრის.

რატომ ჩამორჩა ქარხანა? იმიტომ რომ ხელმძღვანელობა სუსტია. ადგილობრივი მრეწველობის ტრესტში იმის ცნობაც ვერ მოგვცეს, თუ რამდენი მუშა ჰყავს ამჟამად ქარხანას. განა შეიძლება ოპერატიულ ხელმძღვანელობაზე ლაპარაკი, როდესაც ქარხნის ხელმძღვანელმა არ იცის, თუ რამდენი მუშა ჰყავს მას წარმოებაში.

ზესტაფონის აგურის ქარხანაში ადგილი აქვს პროდუქციის თვითღირებულების წარმოუდგენელ ზრდას. ათასი ცალი ნედლი აგური აქ უჯდებათ 55 მანეთი, გამომწვარი კი—150 მან. 50 კაპ. თვითეული მუშის დღიური გამომუშავების ნორმათ დაწესებულია 6 მანეთი. თუ როგორ ასრულებენ მუშები გამომუშავების ნორმებს —ეს ტრესტმა არ იცის.

ასე ფორმალურად ხელმძღვანელობს ზესტაფონის ტრესტი თავის ყველაზე მნიშვნელოვან საწარმოს მუშაობას.

საჭიროა ქარხნის ხელმძღვანელობის დაუყონებლივ გაჯანსაღება და ქარხნისათვის საჭირო კრედიტების მიცემა, საჭიროა რაიონულმა აღმასკომმა მეტი ყურადღება მიაქციოს ქარხანას.

დ. ლ—ძე

თვალისახვევნი და ლენინური ნაციონალური პოლიტიკის დამმახინჯებლები

(ა.-კ. რკ. გზების დირექციის სატყეო განყოფილება)

ამიერ - კავკასიის რკინისგზის დირექციის სატყეო განყოფილების სუსტი მუშაობისა და უხეირო ხელმძღვანელობის შესახებ არა ერთხელ თქმულა. აქ ადგილი აქვს ნაციონალურ პოლიტიკის დამახინჯებას, თვითკრიტიკის ჩახშობას, თვალის ახვევას, უყაირათობას და საზოგადოებრივი ქონების განიავებას.

სატყეო განყოფილების გამგე ლიბერი, იმის მაგიერ, რომ ასეთი მოვლენების აღმოსაფხვრელად იბრძოდეს, თითონ უწყობს ხელს მათ.

ხეტყის დასაცურებელი ღარი კინჩხაში (ხონის რაიონი) უვარგისი იყო და მისი შეკეთება არარენტაბელური. მიუხედავათ ამისა, ლიბერმა გასცა განკარგულება უვარგისი ღარის შესაკეთებლათ გაეღოთ 8.000 მანეთი. ეს თანხა დახარჯეს შეკეთებაზე და შემდეგ დაიწყეს აღნიშნული ღარის სრულიად დარღვევა. ლიბერი ასე მოიქცა ინჟინერ ზაგერის რჩევით, რომელსაც ძალიან ცოტა რამ ესმის ამ დარგში.

მიმდინარე წლის იანვარში სალხინო-მარტვილის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის დირექტორის დაუკითხავათ დასაცურებლად წყალში ჩაყარეს მეურნეობის მიერ დამზადებული შეშა და შპალი მაშინ, როდესაც ეს არ შეიძლებოდა. საჭირო გახდა მათი უკანვე ამოღება. ამ უმიზნო სამუშაოებზე დაიხარჯა 5 ათასი მანეთი.

საჭილაოს ხეტყის სახერხ ქარხანაში ინჟინერ ზაგერის ხელმძღვანელობით დაზგა დადგეს უკუღმა, რაზედაც დაიხარჯა 500 მანეთი.

ლიბერის განკარგულებით საჭილაოს ხეტყის სახერხ ქარხანაში ვაგონეტკისათვის მოაწყვეს ვიწრო ლიანდაგი, რომელიც, გარდა იმისა, რომ ტექნიკურად უვარგისია, არავისთვის საჭირო არაა. ამ სამუშაოზე დაიხარჯა 1800 მანეთი.

ლიბერი სამუშაოთა გეგმებს არ ხდის ფართოდ გარჩევისა და დამუშავების საგნად. სწორედ ესეც არის იმის მიზეზი, რომ დაცურების 1933 წლის გეგმის შესრულებაში დიდ გარღვევებს აქვს ადგილი. დაცურების ნახევარი წლის გეგმა ერთი პროცენტითაა შესრულებული.

სატყეო განყოფილების ხელმძღვანელები, იმ მიზნით, რომ პასუხისმგებლობისაგან თავი დაიძვრინონ, გასულ წელს დამზადებულ შეშას მიმდინარე წელში დამზადებულად ასაღებენ, რითაც შეცდომაში შეყავთ ხელისუფლების ზემდგომი ორგანოები. ლიბერის უხეირო ხელმძღვანელობით, შეშა დამზადებულია ისეთ რაიონებში, საიდანაც მისი ცენტრში გადმოზიდვა შეუძლებელია. დღემდე სულ სხვადასხვა რაიონებში დამზადებულია 10.000 კუბ. მეტრი შეშა და გადმოზიდულია მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი.

განყოფილების მუშაკის კოზლოვსკის ხელმძღვანელობით სენაკში ააგეს დამბა, რომელიც უვარგისი ნაგებობის გამო წყალმა წაიღო. დაიკარგა მის აგებაზე დახარჯული 30 ათასი მანეთი. ასეთივე მდგომარეობა იყო საჩხერეში, სადაც 35 ათასი მანეთის ზარალი იყო.

გარდა ამისა, ადგილი აქვს მივლინებისათვის გათვალისწინებულ თანხების გადახარჯვას. წელს მივლინებებში უნდა დაიხარჯოს 22 ათასი მანეთი; მარტო სამ თვეში უკვე დახარჯულია 29 ათასი მანეთი.

ლიბერი ეწევა თვალისახვევასაც. როდესაც ხელმძღვანელ ორგანოში დაისვა გეგმების შესრულების საკითხი, ლიბერმა შესრულების პროცენტი ხელოვნურად გაბერა და უჩვენა 96-98 პროცენტი, მაშინ როდესაც სინამდვილეში იგი 46-ს აღწევს, ხოლო ზოგ დარგში კიდევ უფრო ნაკლებია.

სატყეო განყოფილებაში აშკარად მახინჯდება ლენინური ნაციონალური პოლიტიკა. განყოფილებას უმთავრესად მუშაობა უხდება დასავლეთ საქართველოს რაიონებში. ამიტომ, განყოფილებაში ძირითადად უნდა მუშაობდენ ქართული ენის მცოდნენი; მაგრამ ეს ასე არ არის. განყოფილებიდან თითქმის სრულიად განდევნეს ქართულის მცოდნენი; ლიბერმა სამუშაოდან მოხსნა 24 ქართულის მცოდნე და მათ ადგილზე მოიყვანა ხალხი, რომლებმაც ქართული სულ არ იციან.

დასავლეთ საქართველოს დაცურების კანტორის უფროსმა და მისმა ორმა თანაშემწემ არ იცის ქართული ენა. ლიბერმა და კოსმა განყოფილებაში სამუშაოდ მოიწვიეს აპარატის წმენდის დროს პირველი კატეგორიით მოხსნილები: ტერ-ოგანეზოვი და ტრონოვი.

ლიბერი ვერ იტანს თვითკრიტიკას. ვინც რაიმე დეფექტებზე მიუთითებს, მაშინვე სამუშაოდან ხსნის. მაგ. კომუნისტ ოდილავაძეს მან გამოუცხადა საყვედური იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა განუცხადა: „ნაცვალოვი ყოფილი პოლკოვნიკია, ხმა ქონდა წართმეული და ახლა როგორაა მისი საქმეო“. დაცურების უფროსი, კომუნისტი ამხ. ბასკანჩილაძე მოხსნა იმისათვის, რომ მან ლიბერს მოსთხოვა გაესტუმრებია მათოვკში ქეიფის დროს გაწეული ხარჯები.

უხეირო სამეურნეო ხელმძღვანელობაზე ლაპარაკობს შემდეგი ფაქტებიც: სამულის სატყეო მეურნეობის კანტორის ბინა 6 თვის განმავლობაში 6-ჯერ გამოიცვალა. 40 ათას მანეთად ღირებული, ბაღდათის მეურნეობის კანტორა გაიყიდა 5 ათას მანეთად, მეურნეობებს იანვარში და მაისში მიეცათ სხვადასხვაგვარი კალკულაცია. ამის გამო მარტო ბაღდათის რაიონს ქონდა 55 ათასი მანეთის გადახარჯვა. ხელისუფლების ორგანოებს უჩვენეს, რომ ბაღდათში წყალში ჩაყარეთ დასაცურებლად 4 ათასი კუბომეტრი შეშა, ამოიღეს კი წყალიდან შეშა მხოლოდ 100 კუბომეტრის რაოდენობით. სად გაქრა დანარჩენი—არავინ იცის. ინჟ. ზოგერი 4 თვეა „მივლინებულია“ საჩხერეში, მაგრამ იქ არაფერს არ აკეთებს. ნადირობის მეტს.

საჭიროა ამ საქმეში ზემდგომი ორგანოების ჩარევა და ა.-კ. რკინის გზების დირექციის სატყეო განყოფილებაში არსებულ ბიუროკრატმომქმედთა და ლენინურ ნაციონალური პოლიტიკის დამმახინჯებელთა პასუხისგებაში მიცემა.

რ. გოგიშვილი.

საგაზეთო შენიშვნების და კორესპონდენციების ეფექტიანობის შემოწმება-რეიდის შედეგების შესახებ

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის და მუშგლეხინის კოლეგიის გაერთიანებული სხდომის 1933 წლის 1 ოქტომბრის დადგენილება

მოისმინა რა მოხსენება საგაზეთო შენიშვნების და კორესპონდენციების ეფექტიანობის გამოსარკვევად მოწყობილი რეიდის შედეგების შესახებ, საქ. კ.პ. (ბ) ც. საკ. კომისიის პრეზიდიუმი და მუშგლეხინის ინსპექციის კოლეგიის გაერთიანებული სხდომა აღნიშნავს შემდეგს: რეიდის ჩატარებამ გამოარკვია ზოგიერთი მიღწევა საგაზეთო შენიშვნების და კორესპონდენციების ეფექტიანობისათვის ბრძოლის საქმეში. ეს მიღწევებია: გადამწყვეტი ზომების მიღება საგაზეთო შენიშვნების გამო (სტალინისი, ზუგდიდი, ოზურგეთი), ამ დარგში აღრიცხვის შედარებითი მოგვარება, შედეგების შეტყობინება რედაქციებისათვის (ზუგდიდი—სამანქანო - სატრაქტორო სადგური, ენგურქაღალდმშენის განახლებული ხელმძღვანელობა), საგაზეთო შენიშვნების და კორესპონდენციების გამოკვლევის საქმეში მშრომელი მასების ჩაბმა, შენიშვნებზე გამოხმაურების საქმის პასუხისმგებელი პირებისათვის დაკისრება (ოზურგეთი, საგარეუბნო რაიონი), გამოკვლევის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება და სხვა. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო მშრომელი მასების პოლიტიკური აქტივობის გაძლიერებას, სამეურნეო-პოლიტიკურ დავალებათა წარმატებით შესრულებას, და მუშათა მომარაგების გაუმჯობესებას.

მაგრამ, ამასთან ერთად, საქართველოს კ.პ. (ბ) ც. საკ. კომისიის პრეზიდიუმი და მუშგლეხინის კოლეგია აღნიშნავენ აგრეთვე რეიდის მიერ გამოაშკარავებულ მრავალ მეტად სერიოზულ დეფექტებს. ძირითად დეფექტებს უნდა მივაკუთვნოთ შემდეგი:

1. ჩატარებული რეიდის შეუფასებლობა რესპუბლიკური გაზეთების რედაქციების მხრივ, რომელთაც არ გაუშუქებიათ რეიდ-შემოწმების მსვლელობა და შედეგები. რეიდის შეუფასებლობა მთელ რიგ რაისაკონტროლო კომისია-მუშგლეხინის მიერ, (სიღნაღი, ბაშკიჩეთი, ხობი ჩხოროწყუ, სამტრედია და სხვა რომელნიც რეიდის ჩატარებას არც კი შეხვდომიან.

2. სუსტი გამოხმაურება მუშების და გლეხების როგორც პრესაში გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ წერილებზე მრავალ საკონტროლო კომისია - მუშგლეხინების მხრივ (ზუგდიდი, ზესტაფონი, დუშეთი, ახალქალაქი და სხ.), რაც იმის შედეგია, რომ როგორც მთელი რიგი პარტიული, საბჭოთა, პროფესიული და სხვა ორგანიზაციები, ისე საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის ორგანოები (აჭარისტანის საოლქო საკონტროლო კომისია-მუშგლეხინი, სიღნაღის, ქუთაისის და სხ. რაისაკონტროლო კომისია-მუშგლეხინები), სასამართლოს და პროკურატურის ორგანოები (ქუთაისის, ტფილისის—სტალინის სახ. სარემონტო ქარხანა, ტფილისის სადგურის დეპო, ამიერ-კავკ. რკინის გზის დირექცია, „26“-ის სახ. ქარხანა და სხვ., ახალციხის, დუშეთის და სხვ.) სათანადოთ ვერ აფასებენ იმ დიდი დახმარების პოლიტიკურ მნიშვნელობას, რომელსაც მშრომელები თავისი წერილებით უწევენ პარტიას და მთავრობას ადგილებზე ორგანიზაციების და დაწესებულებების მუშაობის დეფექტების აღმოფხვრის საქმეში.

ამას თავის მხრივ შედეგად მოჰყვა ის, რომ არ აწარმოებენ საგაზეთო შენიშვნების და კორესპონდენციების ეფექტიანობის აღრიცხვას და მათზე გამოხმაურების საქმეს აკისრებენ ტექნიკურ მუშაკებს (ზუგდიდი, ქუთაისი, ტფილისი, ახალქალაქი და სხ.) შემოწმებულ ორგანიზაციათა უმეტესობაში სრულიადაც არ გამოუყვიათ პასუხისმგებელი პირები საგაზეთო შენიშვნებს და კორესპონდენციებზე გამოხმაურებისათვის (ტფილისი, ქუთაისი, ზუგდიდი, ზესტაფონი და სხ.)

3. განსაკუთრებულად აღნიშნოს საგაზეთო შენიშვნების და კორესპონდენციების ბიუროკრატიული შეუფასებლობა და პრესის როლის დაკნინება ცალკე ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკების და ადმინისტრატორების მხრით, რასაც ადასტურებს შემდეგი განცხადებანი, რომელთაც ქვემოჩამოთვლილმა პირებმა მიმართეს რეიდის მონაწილე ბრიგადირებს:

ა) ტფილისის სადგურის უფროსმა ამხ. ხუნდაძემ განაცხადა, რომ „მისი ხელქვეითი მას ვერ შეამოწმებს“, ხოლო ლენინის რაიონის საკონტროლო კომისია - მუშგლეხინის პრეზიდიუმის სხდომაზე მანვე დასძინა: „ეს ჩემი გაზეთია, ამისათვის ფულს ვიხდი, რაღა საჭიროა კიდევ შენიშვნებზე პასუხის გაცემა, რაც ტარდება, საკმარისია“.

ბ) ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა აქ. გიგინეიშვილმა განაცხადა: „რა საჭიროა პასუხის გაცემა „ყაზახიში გაზეთში“ მოთავსებულ შენიშვნებზე, იგი ფურთხის ღირსია და არა პასუხის გაცემისა“.

გ) ქუთაისის რკინისგზის კვანძის მოძრაობის უფროსმა ამხ. ცხადაძემ განაცხადა: „მე არ მაქვს საშუალება ყოველდღე ვყიდო ყველა გაზეთი, ვინაიდან პირველმა რაიონმა არ მოგვცა ამისათვის საჭირო სახსრები იმ მოსაზრებით, რომ ქუთაისის სადგურისათვის, როგორც მეორე კლასის სადგურისათვის, გაზეთის ხარჯები ხარჯთაღრიცხვით არ არის გათვალისწინებული“.

დ) ზესტაფონის პროფსაბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა: „საგაზეთო შენიშვნებზე გამოხმაურების საკითხი სდგას პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განსახილველად, გამოყოფილია ბრიგადები, მაგრამ მათი მუშაობა არ ჩანს“.

4. ცალკეული საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები და ცალკეული საკონტროლო კომისია-მუშგლეხინებიც კი ჯერ კიდევ მრავალ შემთხვევაში ბიუროკრატიული მიწერ-მოწერით ეხმაურებიან საგაზეთო შენიშვნებსა და კორესპონდენციებს.

5. დღემდის საგაზეთო შენიშვნების გარჩევა მეტწილად ფორმალურად, არა-არსებითად წარმოებს. მათ შესახებ გამოტანილი დადგენილებანი არადამაკმაყოფილებელია, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება, როგორც წესი, არ ხდება (ზუგდიდი, ქუთაისი, ზესტაფონი, დუშეთი, ახალქალაქი და სხვ.).

6. ფართო მშრომელი მასები (შტატგარეშე ინსპექტურა „მსუბუქი კავალერია“, საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის ორგანოების პლენუმების წევრები, ხელისშემწყობი ჯგუფები, საბჭოების მუშგლეხინის სექციები) ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ არიან ჩაბმული საგაზეთო შენიშვნებისა და კორესპონდენციების გამოკვლევის საქმეში.

7. საოლქო, საქალაქო და სარაიონო საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის, პროკურატურის, მილიციის ორგანოების და პროფ ორგანიზაციების დიდ უმრავლესობაში დღემდე გრძელდება საქმის უმსგავსო გაჭიანურება საგაზეთო შენიშვნების და კორესპონდენციების გამოკვლევის მხრით (5—6 თვეს).

8. შენიშვნები და კორესპონდენციები ხშირად სათანადო ორგანიზაციების ყურადღების გარეშე რჩება (ზუგდიდი, ტფილისის საგარეუბნო რაიონი, ქუთაისი, ქალაქი და რაიონი, რიონჰესი, ზესტაფონი), ან არჩევენ მათ „შინაურულად“, ე. ი. ჩქმალავენ და არ აცნობებენ შედეგს რედაქციებს (ზუგდიდი, ზესტაფონი).

9. ადგილი აქვს გამოუქვეყნებელი შენიშვნების დედნების გადაგზავნას სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის და მუშკორთა დევნას (ზუგდიდის რაიონი, მარტვილი).

რეიდმა აგრეთვე გამოარკვია, რომ ბევრი კედლის გაზეთი (განსაკუთრებით სოფლად) მთელი თვეობით არ გამოდის, ამ ხნის განმავლობაში შენიშვნები ინახება სარედაქციო კოლეგიებში, კარგავს თავის აზრსა და მნიშვნელობას (თელეთი, დიღომი, ლილო, ოზურგეთი და სხვ.), სუსტია კავშირი ძირეულ პრესასთან (ოზურგეთი, სტალინისი), რაც მოწმობს იმას, რომ რაიონული და ცენტრალური გაზეთების რედაქციები სუსტ ხელმძღვანელობას უწევენ მათ.

ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი და საქართველოს მუშგლეხინის კოლეგია ადგენს:

1. მიეთითოს რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებს ჩატარებული რეიდის შეუფასებლობაზე, რაც გამოიხატა იმაში, რომ მათ არ გააშუქეს რეიდის მიმდინარეობა და შედეგები და არასაკმაო პასუხისმგებლობით მიუდგნენ საგაზეთო შენიშვნების და კორესპონდენციების ეფექტიანობის შემოწმების რეიდს, რომელიც ჩატარდა ა.-წ. 5 სექტემბერს საქართველოს ცენტრ. საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის დადგენილების საფუძველზე.

2. წინადადება მიეცეს საქ. ყველა საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს, რომლებსაც არ წარმოუდგენიათ რეიდის შემჯამებელი მასალა, ერთი დეკადის ვადაში წარმოადგინონ იგი ცენტრ. საკონტროლო კომისია-მუშგლეხინში დაგვიანების მიზეზის ახსნა-განმარტებით, დაევალოს საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილებას დაამუშაოს საკითხი საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის იმ თავმჯდომარეთა შესახებ, რომლებიც არ წარმოადგენენ მასალას აღნიშნულ ვადაში, ან რომლებსაც არ ჩაუტარებიათ რეიდი, დასვას ეს საკითხი ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის და საქართველოს მუშგლეხინის კოლეგიის განსახილველად.

3. წინადადება მიეცეს ყველა საოლქო, საქალაქო და სარაიონო საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს, ყველა საბჭოთა, სამეურნეო, პროფესიულ და სხვ. ორგანიზაციას დაუყოვნებლივ მოაგვარონ მუშაობა მუშათა და კოლმეურნეთა როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელ წერილებთან (განსაკუთრებული აღრიცხვა, ამ საქმის დაკისრება პასუხისმგებელ პირებისადმი, შენიშვნების გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების პრაქტიკის შემოღება და სხვ.).

4. რესპუბლიკური, რაიონული, პოლიტგანყოფილებათა და კედ. გაზეთების ყველა რედაქციამ ყოველ ცალკე შემთხვევაში, როცა ისინი შენიშვნაზე ბიუროკრატიული მიმოწერის ხასიათის მქონე პასუხს მიიღებენ ან როცა გამოარკვევენ, რომ ამ შენიშვნებს არ ეხმაურებიან და მათ შედეგებს არ აცნობებენ რედაქციებს, შეატყობინონ ეს საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის სათანადო ორგანოებს დამნაშავეთა მისაცემად სასტიკ პასუხისმგებაში.

5. საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის ყველა ორგანომ დარაზმოს მშრომელთა ფართო აქტივი საგაზეთო შენიშვნებსა და კორესპონდენციებზე გამოხმაურების საქმის გარშემო.

6. იმ მიზნით, რომ სასტიკ პასუხისგებაში იქნან მიცემული ის პირნი, რომლებსაც დანაშაული მიუძღვით საგაზეთო შენიშვნების და კორესპონდენციების გამო აღძრულ საქმეთა დიდი ხნით გაჭიანურებაში, დაევალოს საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილებას შეადგინოს იმ ორგანიზაციების (მათ შორის საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის ორგანოებისაც) სია, რომლებიც ყველაზე მეტად აჭიანურებენ საქმეებს, და წარმოუდგინოს საქ. კ.პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმს და საქართველოს მუშგლეხინის კოლეგიას.

7. მიექცეს გაზეთების რედაქციების ყურადღება იმ გარემოებას, რომ შეუწყნარებელია შენიშვნების და კორესპონდენციების დედნების გადაგზავნა სხვადასხვა ორგანიზაციაში, აგრეთვე იმაზე, რომ მათ არასაკმაო კავშირი აქვთ ძირეულ პრესასთან და სუსტ ხელმძღვანელობას უწევენ მას.

8. წინადადება მიეცეს ყველა ორგანიზაციას, მათ შორის საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის ორგანოებსაც, რომელთა წარმოებაშიც არის საგაზეთო შენიშვნების და კორესპონდენციების გამო აღძრული საქმეები, ერთი დეკადის ვადაში დაამთავრონ ისინი და შედეგი აცნობონ სათანადო ორგანიზაციებს.

9. დაევალოს საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილებას შეამოწმოს ამ დადგენილების შესრულება და მისი შედეგები მოახსენოს პრეზიდიუმს 20 ნოემბერს.

განსაკუთრებული დადგენილება

1. აჭარისტანის საოლქო საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის, კასპის და ბაღდათის რაისაკონტროლო კომისია-მუშგლეხინების თავმჯდომარეებს ამხ. ცხოიძეს, ფანცულაიას და ჯიქიას საქმის გაჭიანურებისათვის, საგაზეთო შენიშვნებზე არადამაკმაყოფილებლად გამოხმაურებისათვის და მიმოწერის გზით საქმის თავიდან აცილების წინააღმდეგ ამომწურავი ზომების მიუღებლობისათვის მიეცეს შენიშვნა.

2. საგაზეთო შენიშვნებისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულებისა და პრესის როლის დამცირებისათვის გამოეცხადოთ საყვედური ტფილისის სადგურის უფროსს ამხ. ხუნდაძეს, ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ამხ. აქ. გიგინეიშვილს, ქუთაისის რკ. გზის კვანძის მოძრაობის უფროსს ამხ. ცხადაძეს და ზესტაფონის რაიპროფსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. გველესიანს.

3. ზუგდიდის რაიგანათლების განყოფილების გამგეს პაპავას იმისათვის, რომ მან მიჩქმალა და „შინაურულად“ გადაწყვიტა შენიშვნის გამო აღძრული საქმე სკოლის გამგის ბუკიას შესახებ (რომელიც მოთავსებული იყო „ყაზახიში გაზეთი“-ს ა.-წ. 12 მაისის ნომერში) და არ აცნობა შედეგი რედაქციას; ზესტაფონის რაიგანათლების განყოფილების გამგეს ჩიტორელიძეს იმისათვის, რომ მან შემოიღო გაუპიროვნება საგაზეთო შენიშვნებსა და კორესპონდენციებზე გამოხმაურების საქმეში და დააკისრა პასუხისმგებლობა ინსტრუქტორებს, გამოეცხადოთ საყვედური.

4. მოხსნილ იქნან სამუშაოდან საყვედურის გამოცხადებით ცაიშის სასოფლო საბჭოს (ზუგდიდის რაიონი) თავმჯდომარე ამხ. ვ. ლარჩავა და პარტუჯრედის მდივანი ამხ. ქირია აქტივისტ კორესპონდენტის ამხ. დაგარგულიას მიმართ თვითკრიტიკის ჩახშობისათვის, რაც გამოიხატა იმაში, რომ მათ დაიბარეს კორესპონდენტი და წინადადება მისცეს: თავი დაანებე მამხილებელი კორესპონდენციების წერას, დაგვიახლოვდი ჩვენ და ჩვენი თანხმობით სწერე „მიღწევების“ შესახებ.

5. ზესტაფონის რაიონის პროკურორს ამხ. კეშელავას უშუალოდ პროკურორისადმი მიმართული შენიშვნების უყურადღებოთ დატოვებისათვის („მშრომელი ენტუზიასტი“ ა.-წ. 25 აგვისტოს და 19 ივლისის ნომრები), ცალკეული შენიშვნების გამოკვლევის გაჭიანურებისა და ისეთი მასალის უქონლობისათვის, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა საგაზეთო შენიშვნებთან მუშაობის შეფასება, გამოეცხადოს საყვედური.

6. გამოეცხადოს საყვედური ქუთაისის უფროს პროკურორს ამხ. დარჩიას იმისათვის, რომ მან ფორმალურად გამოყო საგაზეთო შენიშვნებზე გამოხმაურებისათვის პასუხისმგებელი პირი, არ აღძრა საქმეები უშუალოდ ამ შენიშვნების გამო, არ აწარმოებდა მათ აღრიცხვას და უპასუხოდ სტოვებდა რედაქციების მიერ გაგზავნილ შენიშვნებს.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი და საქართველოს მუშგლეხინის კოლეგია გაფრთხილებას აძლევენ ყველა ორგანიზაციას, რომ მომავალში, თუ ისინი არ შეასრულებენ დირექტივებს საგაზეთო შენიშვნებისა და კორესპონდენციების გამო კვლევა-ძიების უმოკლეს ვადაში მოხდენის შესახებ, არ შეატყობინებენ შედეგებს საკონტროლო კომისია მუშგლეხინის სათანადო ორგანოებს და გაზეთების რედაქციებს—დამნაშავე პირნი მიცემულ იქნებიან სასტიკ პასუხისგებაში.

7. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

1911 წ. დაბადებულთა გაწვევა

მოწინავე გამწვევი კომისიების გამოცდილება

გადავიტანოთ ყველა გასაწვევ წერტზე

გულდასმით ამოწმებენ თვითეულ ახალწვეულს

(ტფილისის გასაწვევი პუნქტი)

1911 წ. დაბადებულთა გაწვევა ტფილისის რაიონში წარმატებით მიმდინარეობს ახალწვეულები აღფრთოვანებით ცხადდებიან გასაწვევ წერტზე.

გამწვევმა კომისიამ 5 დღის განმავლობაში გამოამჟღავნა წერა-კითხვის 17 უცოდინარი, რომლებიც მიმაგრებულნი არიან ლიკპუნქტებზე. ისინი იქ ისწავლიან დაახლოებით 20 ნოემბრამდე, ე. ი. წითელ არმიაში მიღებულთა ჯარის ნაწილებში გაგზავნამდე. ის წვევამდელები, რომლებიც ქარხნებში მუშაობენ და არ იციან წერა-კითხვა, უცოდინარობის სალიკვიდაციოდ მიმაგრებული არიან ინდივიდუალური წესით, წარმოებიდან მოუწყვეტლად.

ტფილისის გასაწვევი პუნქტი. 1911 წ. დაბადებულთა შორის ავტო-გზის წარმომადგენელი აკეთებს მოხსენებას ავტო-გზის მნიშვნელობაზე

გამწვევი კომისიები მთავარ ყურადღებას აქცევენ ახალწვეულთა კლასობრივ შერჩევას. ვინაიდან ზოგიერთი წარმოება დაწესებულების ადგილობრივი ორგანიზაციები ფორმალურად მიუდგენ ახალწვეულებზე დახასიათების გაცემას, არის ერთეული შემთხვევები, როდესაც კლასობრივ მტრებს აქვთ მიცემული დადებითი დახასიათება. —

5 ოქტომბერს ტფილისის გამწვევმა კომისიამ კიდევ გამოამჟღავნა ორი უცხო ელემენტი, რომლებიც ცდილობენ წითელ არმიის რიგებში შეპარვას.

არის შემთხვევები, როდესაც კომისიაში ცხადდებიან დახასიათების არ, მქონე პირნი. ასეთებს გამწვევი კომისია და გაწვევის დამხმარე სამეულები დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდონ საჭიროა მათი ყოველმხრივ შესწავლა. განსაკუთრებით თავი უნდა შევიკავოთ ასეთი პირების წითელ არმიაში ჩარიცხვიდან.

ზემოდ მოყვანილი ფაქტები ცხადყოფს, რომ არის ცდები წითელ არმიაში შეპარვის, მაგრამ გამწვევი კომისიების კლასობრივი სიფხიზლით და გასაწვევ ახალგაზრდობის დახმარებით უზრუნველყოფილია წითელი არმიის ღირსეული ცვლით შევსება.

ტფილისის წერტზე თავდაცვა-ავიაქიმის ქუთხის უმოქმედობა აღმოფხვრილია, ახალწვეულებს უსაქმოდ ვეღარ ნახავთ, ისინი შემოკრებილი არიან სამხედრო წერტის გარშემო და ჯგუფ-ჯგუფად ეცნობიან დაზგიან და ხელის ტყვიამფრქვევების მატერიალურ ნაწილებს, იწყობა ვიქტორინები და სხვ.

აღსანიშნავია გამოსაცხადებელ მაგიდის საქმიანი მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე რაიონის ახალწვეულები ერთდაიმავე დროს ცხადდებიან, ყველას თავის დროზე უფორმებენ საბუთებს და ხელს უწყობენ კომისიების შეუფერხებელ მუშაობას. —

ტფილისის გამწვევ პუნქტს გაწვევის უკეთ ჩატარების მიზნით სოცშეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს ბაქოს გამწვევი პუნქტი.

ს. გოლ—ძე

არ დაუშვებთ წითელ არმიაში გაიძვერა ელემენტს.

„26“ კომუნარის სახელობის რაიონში წერა-კითხვის უცოდინართა აღრიცხვის დროს ერთ-ერთ ლიკპუნქტზე მიმაგრებული იქნა გასაწვევი მაკაროვი. მაკაროვი იცის, რომ წითელი არმიის სამხედრო ტექნიკის შესწავლას ესაჭიროება წერა-კითხვის კარგად მცოდნე მაგრამ არ ესწრება ლიკპუნქტის მეცადინეობას და შეგნებულად არიდებს თავს სწავლას.

დაიწყო გაწვევა ტფილისის პუნქტის კომისიის თავმჯდომარე ეკითხება გასაწვევ მაკაროვს, რათ არ აღმოფხვრა მან თავისი უცოდინარობა ის მიკიბულ-მოკიბულ პასუხს იძლევა. კომისიის განკარგულებაში არსებული მასალები მოწმობენ, რომ მაკაროვმა იცის ხელის მოწერა. მაკაროვი კი წინააღმდეგს ამტკიცებს.

კომისიამ გაითვალისწინა ამ უზნეო ელემენტის საქციელი, არ მიიღო იგი წითელ არმიაში და მისი საქმე გადასცა „26“ კომ. სახ: ახალწვეულთა ამხანაგურ სასამართლოს, რომელმაც გასაწვევ მაკაროვის უზნეო საქციელი დაჰგმო და გამოუტანა მას საზოგადოებრივი გაკიცხვა.

თვითეული გასაწვევს უნდა ახსოვდეს რომ ასეთი გაიძვერა ელემენტებისათვის წითელი არმიის ყაზარმის კარები დაკეტილია.

გ. გაბრიაძე

საშეფო ნაწილი აქტიურად გვეხმარება

(ორჯონიკიძის სახელ. ქარხანა)

ათასეული, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. კილაძე თავის შეფს—ორჯონიკიძის სახელობის მექანიკურ ქარხანას გაწვევის მოსამზადებელ მუშაობაში აქტიურ დახმარებას უწევს.

ათასეულმა, გასაწვევთა სამხედრო-პოლიტიკური ცოდნით შეიარაღების მიზნით, ქარხანას მუდმივ სამუშაოდ მიამაგრა მეთაურები და პოლიტმუშაკები, რომლებიც სისტემატიურად ატარებენ სამხედრო მეცადინეობას. ამასთანავე გასაწვევთა სწავლება უზრუნველყოფილი იყო მატერიალურად. ათასეულმა გამოჰყო საჭირო რაოდენობის სასწავლო იარაღები, ხელსაწყოები და სხვ.

ქარხნის ახალწვეულებმა ათასეულის მებრძოლებთან ერთად მოაწყვეს აგიტმასლა სოფ. ახმეტაში, სადაც მიმდინარე გაწვევასთან დაკავშირებით ჩაატარეს მუშაობა.

საშეფო ნაწილის ასეთი დახმარების საფუძველზე თავდაცვა-ავიაქიმის საბაზო უჯრედმა გაშალა მუშაობა. სამოსწავლო წერტზე სამხედრო მომზადება შეუფერხებლად მიმდინარეობდა და მომზადების ხარისხიც კარგია. გასაწვევთა 30 პროც. მომზადებულია საკლასო მსროლელებად, ათასეულიდან გამოყოფილი პოლიტხელი გასაწვევთა შორის სისტემატიურად ატარებდა პოლიტმომზადების საათებს. პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის გაშლასთან დაკავშირებით ამაღლდა გასაწვევთა პასუხისმგებლობა.

წარმოებაში გასაწვევებს ეკუთვნით წამყვანი როლი. ისინი გაერთიანებული არიან 1911 წ. დაბადებულთა გაწვევის სახელობის ბრიგადებში და საფინანსო-საწარმოო გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ.

10 ოქტომბრიდან ქარხანაში იწყება გაწვევა. შეფმა ამ საქმეშიც უნდა გაგვიწიოს დახმარება, ვინაიდან გაწვევის წარმატებით ჩატარება დიდათ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მომზადებული შეხვდება ამას გამწვევი კომისია და რამდენად კარგად იქნება მოწყობილი თვით გასაწვევი პუნქტი. მით უმეტეს, ეს ითქმის გამსვლელ კომისიის მიმართ, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს გაწვევის ჩატარება გასაწვევთა წარმოებიდან მოუწყვეტლად.

ასეთი გამოცდილება ჩვენ უკვე გვაქვს. გამსვლელმა კომისიამ სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანაში და ტფილისის დეპოში გაწვევის პირველ დღეს სათანადოდ ვერ გაშალა მუშაობა, ვინაიდან, როგორც კომისია, ისე გასაწვევი პუნქტი მომზადებული არ იყო ამ საქმისათვის.

გამსვლელი კომისიის მუშაობის ეს გამოცდილება უნდა გავითვალისწინოთ და არ უნდა გავიმეოროთ შეცდომები მელითონებთან გაწვევის ჩატარების დროს.

ზ. შ.

ტფილისის გასაწვევი პუნქტი. ჯავშნიანი ავტომობილის უფროსი ამხ. ბაიუაშვილი უხსნის ახალწვეულებს ჯავშნიანი ავტომობილის მოტორის მუშაობის პრინციპებს

გარდაიცვალა საქ. არტისტი-კომპოზიტორი ზ. ფალიაშვილი

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

6 ოქტომბერს, ტფილისში საკუთარ ბინაზე გარდაიცვალა სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ზაქარია პეტრეს-ძე ფალიაშვილი.

განსვენებული დაიბადა ქ. ქუთაისში 1872 წელს. ღარიბმა მამამ ვერ შესძლო შვილისათვის განათლება მიეცა და პატარა ზაქარია იძულებული გახდა საკუთარი ძალებით გაეკვლია გზა. თავისი უფროსი ძმის— ივანე ფალიაშვილის დახმარებით ზაქარია მოეწყო ტფილისის მაშინდელ მუსიკალურ სასწავლებელში, სადაც მან კურსი წარჩინებულად დაამთავრა. შემდეგ კერძო გაკვეთილებით ცოტაოდენი თანხა შეაგროვა და 1900 წელს შევიდა მოსკოვის კონსერვატორიაში, სადაც სწავლობდა პროფ. ტანეევის ხელმძღვანელობით. 1903 წელს მან აქაც წარჩინებით დაამთავრა კურსი და კვლავ საქართველოში დაბრუნდა.

ამ ხნიდან მოყოლებული ვიდრე 1917 წლამდე იგი მასწავლებლობდა ტფილისის მუსიკალურ სასწავლებელში, სადაც განსვენებული ასწავლიდა თეორიას, სოლფეჯიოს და ჰარმონიას.

1922 წელს ზ. ფალიაშვილი დაინიშნა ტფილისის კონსერვატორიის რექტორად და ამ თანამდებობაზე დაჰყო 1924 წლამდე.

მუსიკის დარგში მოღვაწეობა ზაქარია ფალიაშვილმა დაიწყო ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს. იგი ერთი იმ პირველთაგანი იყო, რომელიც აგროვებდენ ქართულ ხალხურ სიმღერებს და მოტივებს, იწერდენ მათ და ამდიდრებდენ ქართული მუსიკის საგანძურს. ზაქარია ფალიაშვილმა პირველმა შეაგროვა, ჩასწერა და ევროპული მუსიკის ყაიდაზე გაფორმა საქართველოს სხვადასხვა კუთხის 300-ზე მეტი ძველი ქართული სიმღერა. ამ სიმღერების დიდი უმრავლესობა ამჟამადაც დიდი წარმატებით სარგებლობს.

ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებას ეკუთვნის რიგი პოპულარული და მუსიკალურად ლამაზი ოპერების, როგორიცაა „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“ და სხ. განსვენებულის ოპერა — „აბესალომ და ეთერი“, რომელიც პირველად დაიდგა 1918 წლის მეორე ნახევარში, მას შემდეგ არ მოხსნილა ჩვენი საოპერო თეატრის სცენიდან. მეორე ოპერა—„დაისი“ პირველად დაიდგა 1924 წელს. 1927 წელს კომპოზიტორმა დაამთავრა მესამე ოპერის — „ლატავრა“-ს წერა და იგი დადგმულ იქნა პირველად 1928 წელს.

გარდა ოპერებისა, განსვენებულ დაწერილი აქვს კანტატა ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავის აღსანიშნავად, ქართული სიუიტა 5 ნაწილად, რომანსები და გამოცემული აქვს მუსიკალურ ნაწარმოებთა სამი კრებული.

1925 წელს საბჭოთა საზოგადოებრიობამ განსვენებულს გადაუხადა სამუსიკო დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობის 30 წლის თავის იუბილე და საქართველოს მთავრობამ მას მიანიჭა სახალხო არტისტის სახელწოდება.

უკანასკნელად, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, განსვენებულის ნაწარმოებნი, მათი მაღალი მხატვრული და მუსიკალური ხარისხის გამო აღიარებულ იქნა სახელმწიფო საკუთრებად.



უკანასკნელი 5—6 თვის განმავლობაში ზაქარია ფალიაშვილი ლოგინად იყო ჩავარდნილი. მას ექიმობდენ საბჭოთა კავშირის გამოჩენილი სპეციალისტები, მაგრამ სარკომამ ([illegible] კიბო) მაინც იმსხვერპლა ჯერ კიდევ ენერგიით სავსე ნიჭიერი კომპოზიტორი.

დამკრძალავი კომისიის გამოყოფა

სახალხო არტისტის, კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის გარდაცვალების გამო მთავრობამ გამოყო დამკრძალავი კომისია განათლების სახალხო კომისრის მოადგილის —ამხ. ე. გორდელაძის (თავმჯდომარე), თენგიზ ჟღენტის, მ. ტოროშელიძის, შ. [illegible], ა. [illegible], გ. ბუხნიკაშვილის, დიმ. არაყიშვილის, კ. მეღვინეთ-უხუცესის, ქ. ფოცხვერაშვილის, გ. კოკელაძის, გ. კილაძის, ა. [illegible], ლ. კანდელაკის, ივ. ფალიაშვილის, ალ. წუწუნავას, ალ. ახმეტელის, ალ. ინაშვილის, უშ. ჩხეიძის, ვ. [illegible], ს. ბარხუდაროვის და ქ. მინიარის შემადგენლობით.

დღეს, დილის 11 საათისათვის, განათლების სახალხო კომისარის კაბინეტში დანიშნულია დამკრძალავი კომისიის სხდომა.

ნეშტის გადმოსვენება საქ. კონსერვატორიაში

ზ. ფალიაშვილის ნეშტს დღეს საღამოს 5½ საათზე თავისი ბინიდან (კირპიჩნი შესახვევი № 10), გადმოასვენებენ სახელმწიფო კონსერვატორიაში, სადაც საღამოს 6½ საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი.

სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მ.-გ. მილიციის მთავარ სამმართველოსაგან

ს.ს.რ. სახკომსაბჭოს ა.-წ. 25 სექტემბრის დადგენილების „სახლების მმართველების მოვალეობებზე მოსახლეობის პასპორტიზაციის ჩატარებისათვის მასალების და ცნობების საპასპორტო განყოფილებებში წარდგენის შესახებ“ საფუძველზე ს.ს.ს.რ. სახკომსაბჭოსთან არსებულ მ.-გ. მილიციის მთავარი სამმართველო წინადადებას აძლევს ყველა სახლთ მმართველებს, საბინაო ამხანაგობათა გამგეობის თავმჯდომარეებს, ამ ამხანაგობათა სახლების რწმუნებულებს, ნაციონალიზაცია და მუნიციპალიზაციაქმნილ შენობების კომენდანტებს, კერძო ბინებში მოთავსებულ საზოგადო ორგანიზაციის წარმომადგენლებს (სახლის სამეულებს, სახლის კომენდატებს და სხვათა) 1. რომლებსაც დღემდე არ მიუღიათ საპასპორტო მაგიდებში სტანდარტული ცნობები, მიიღონ ასეთები 2 დღის განმავლობაში ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან და, რომელთაც საპასპორტო წერტილების მიერ დაწესებულ ვადებში, არ წარმოუდგენიათ სათანადო ცნობები და საბუთები, წარმოადგინონ ასეთები 5 დღის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ამასთანავე ერთად მ.-გ. მილიციის მთავარი სამმართველო აფრთხილებს ყველა ზემოდ აღნიშნულ პირებს, რომ ამ განკარგულების თავის დროზე, ან სრულიად არ შესრულებისათვის ყველა ზემოდ ჩამოთვლილი პირები (თავმჯდომარეები, საბ. ამხანაგობათა რწმუნებულები და სხვანი) დაჯარიმებულნი იქნებიან ადმინისტრატიული წესით 100 მანეთამდე. ხოლო განმეორებით დარღვევისათვის მიეცემიან პასუხისგებაში ს.ს.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსის 84^1 მუხლით.

რესპ. მილიციის მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილე მელაძე

„თავდაცვა-ავიაქიმი“ ემზადება სტრატოსფეროში გასაფრენად

მოსკოვი, 5 ოქტომბერი. სტრატოსტატ „თავდაცვა-ავიაქიმის“ მშენებლობის შეფობის კომიტეტის თავმჯდომარემ და სტრატოსტატის ამუშავების პასუხისმგებელმა ორგანიზატორმა ამხ. ფ. ნ. ილინმა განაცხადა, რომ სტრატოსტატ „თავდაცვა-ავიაქიმის“ გაფრენა, რომელიც თავდაპირველად განზრახული იყო სტრატოსტატ „ს.ს.რ.კ“-ს გაფრენის შემდეგ, გადაიდო არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო, უახლოეს დღეებში მოსალოდნელია ამინდის გაუმჯობესება. როგორც კი დადგება კარგი, უქარო ამინდი დაიწყება გაფრენისათვის მზადება.

კომიტეტმა მიიღო მრავალი მიმართვა მოსკოვის, ლენინგრადის და მთელი რიგი უდიდესი სამრეწველო ცენტრების მუშათა საზოგადოებრივ და სამეცნიერო ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე საზღვარგარეთელ სამეცნიერო ორგანიზაციებისაგან—მოახდინონ სტრატოსტატ „თავდაცვა-ავიაქიმის“ გაფრენის ტრანსლაცია რადიოთი. კომიტეტმა, რომელიც ითვალისწინებს საბჭოთა კავშირის ფართო მშრომელი მასების განსაკუთრებულ ინტერესს, გადასწყვიტა ანგარიში გაუწიოს მათ სურვილს და მიმართა თხოვნით კავშირგაბმულობის სახალხო კომისარს ამხ. რიკოვს გამოყოს ამ მიზნისათვის მძლავრი რადიოსადგური. თხოვნა დაკმაყოფილებულია. სტრატოსტატ „თავდაცვა-ავიაქიმის“ გაფრენა გადაცემული იქნება კომინტერნის სახელობის მძლავრი რადიოსადგურის მეშვეობით და მის ტრანსლაციას მოახდენს კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის ყველა რადიოკვანძი. ამრიგად, საბჭოთა კავშირის მუშათა, კოლმეურნეთა და სამეცნიერო მუშაკთა მრავალმილიონიან მასებს საშუალება ექნებათ მოისმინონ მთელი ლაპარაკი სტრატოსტატის ეკიპაჟსა და გაფრენის ორგანიზატორებს შორის.

სტრატოსტატი „თავდაცვა-ავიაქიმი“ აღჭურვილია სპეციალური რადიოსადგურით, რათა მუდმივი კავშირი ჰქონდეს დედამიწასთან. სტრატოსტატიდან გადაცემის ტალღის სიგრძე უდრის 69 მეტრს, ხოლო მიწიდან გადაცემისა 75 მეტრს. დადგმულია გამოსაძახებელი სიგნალები სტრატოსტატისათვის „სირიუს“ და მიწის ზედაპირზე მდგომ რადიოსადგურისათვის „მიწა“.

იმის გამო, რომ სტრატოსტატ „სრკ“-ს გაფრენის დროს რადიომოყვარულები (მოკლეტალღიანი) განუწყვეტლივ იჭერდენ სტრატოსტატის რადიო-სადგურს და ამით ხელს უშლიდენ ლაპარაკს ეკიპაჟსა და გაფრენის ორგანიზატორებს შორის, სტრატოსტატ „თავდაცვა-ავიაქიმის“ მშენებლობის შეფობის კომიტეტი სთხოვს ყველა რადიომოყვარულს (მოკლეტალღიანს) სტრატოსტატ „თავდაცვა-ავიაქიმის“ გაფრენის დღეს დაიცვან სრული სიჩუმე და ამით საშუალება მისცენ საბჭოთა კავშირის მშრომელებს მთლიანად მოისმინონ სტრატოსტატის ფრენის გადაცემა.

კომიტეტმა მიმართა აგრეთვე თავდაცვა-ავიაქიმის ყველა ორგანიზაციას თხოვნით თვალყური ადევნონ სტრატოსტატის გაფრენის რადიოგადაცემას და როცა ცნობილი გახდება სტრატოსტატის დაშვების რაიონი, დაუყოვნებლივ აღმოუჩინონ მას დახმარება დაშვების მომენტში (ადს).

მზადება ოქტომბრის დღესასწაულისათვის

საქალაქო კომისიის ჩამოყალიბება

ოქტომბრის რევოლუციის მეთექვსმეტე წლისთავის აღსანიშნავი დღესასწაულებისათვის სამზადისის სახელმძღვანელოდ ტფილისის საბჭომ გამოჰყო კომისია ამხ. ა. ნოვიკოვის (თ-რე), მ. ნიორაძის (საქ. პრ. საბჭო), ს. აკოფოვის, კიდაშის, გ. რუსაძის (ა.ლ.კ.კ. ტფ. კომიტ.) გ. ბეჟანიშვილის და ამხ. ბელოვის შემადგენლობით.

კომისიას დავალებული აქვს შეიმუშაოს ოქტომბრის 16 წლისთავის ზეიმის ჩატარების გეგმა, უზრუნველყოს ქალაქის სადღესასწაულოდ მორთვა, დემონსტრაციები, საღამო-საუბრების და ექსკურსიების ჩატარება. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას.

საღამო-საუბრები და სახელდახელო მიტინგები

15-დან 20 ოქტომბრამდე ტფილისის ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში (სამშენებლო სამუშაოებზე, საგზაო მშენებლობაზე და სხ.) დაიწყება საღამო-საუბრების, სახელდახელო მიტინგების და მოხსენებების ჩატარება ოქტომბრის რევოლუციის შესახებ. ამავე პერიოდში ფაბრიკა-ქარხნებსა და საწარმოებში დაიწყება მუშაობა საკუთარ მიღწევათა გამოყენების მოსაწყობად.

ყველა კლუბში, წითელ კუთხეებსა და კულტდაწესებულებებში გაიმართება ოქტომბრის რევოლუციის მე-16 წლისთავისათვის მიძღვნილი მხატვრული საღამოები.

დელეგაციების გაგზავნა

ოქტომბრის მე-16 წლისთავის ზეიმებზე დასასწრებად ბაქოსა და ერევანში იგზავნებიან ტფილისის საბჭოს დეპუტატებისაგან შემდგარი დელეგაციები. გარდა ამისა, გადაწყვეტილია მოეწყოს, ტფილისის საბჭოს და რაისაბჭოების წევრებისა და სექციონერების გასვლები ტფილისის რაიონის საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობებში.

6 ნოემბერს — ბავშვთა დღესასწაული

ოქტომბრის ზეიმის ჩამტარებელი საქალაქო კომისიის დადგენილებით 6 ნოემბერს ტფილისში გამოცხადებულია ბავშვთა დღესასწაულად. ამ დღეს ყველა სანახაობა ღია იქნება მხოლოდ ბავშვებისათვის. შკოლებში ბავშვებს შორის ჩატარდება მოკლე საუბრები ოქტომბრის რევოლუციის ეპიზოდებზე.

ტფილისის საბჭოს საზეიმო სხდომა

6 ნოემბერს საღამოს გაიმართება ტფილისის საბჭოს და რაისაბჭოების გაერთიანებული საზეიმო სხდომა. სხდომაზე მოწვეული იქნებიან ტფილისის რაიონის სოფლის საბჭოების წევრებიც.

50 გამოფენა

ოქტომბრის დღესასწაულის აღსანიშნავად გადაწყვეტილია ტფილისში მოეწყოს სოციალისტური მშენებლობის მიღწევათა 50 გამოფენა. ეს გამოფენები მოთავსებული იქნება დიდ ვიტრინებში.

ვიტრინების შერჩევა და სათანადო ექსპონატების შეგროვება უკვე დაწყებულია.

ქრონიკა

დახმარება ფშავ-ხევსურეთის სოფლებს

ფშავ-ხევსურეთის მთელ რიგ სოფლებში მოსულმა სეტყვამ დიდი ზარალი მიაყენა ნათესებს. განსაკუთრებით დაზარალდა სოფ. შარახევში და როშკაში. საქ. ცაკმა ფშავ-ხევსურეთში სეტყვით დაზარალებულ სოფლების დასახმარებლად გამოყო 6.000 ფ. პური.

⌗ 9 ოქტომბერს საღამოს 8 ნახ. საათზე აუდიტორია № 88 (პოლ. ეკონომიის კაბინეტი) შესდგება ლენინიზმის და ფილოსოფიის კათედრის საჯარო სხდომა. დღის წესრიგში პროფ. პ. შარიას მოხსენება ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“-ს 25 წლის თავი.

⌗ დღეს საღამოს 8 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. № 3) შესდგება მეც. მუშ. ც. ბიუროს წევრთა გაერთიანებული კრება, ადგილობრივ ბიუროს და პროფრწმუნებულების წარმომადგენლებთან ერთად.

ვ. ფაფაზიანის მიწვევა სპარსეთში

საადის და ფირდოუსის სპარსეთს დღემდე არ აქვს საკუთარი თეატრი. სპარსეთში არსებობენ თეატრები: სომხური, ამ 12 წლის წინად არსებობდა ქართული თეატრიც, მაგრამ სპარსული თეატრი აქამდე ვერ შეიქმნა მხოლოდ ახლა ეყრება საფუძველი ასეთ თეატრს. კონსულტანტად ამ საქმეში და პირველ გასტროლიორად ახალ თეატრში მიწვეულია საბჭოთა აქტიორი, გამოჩენილი ტრაგიკოსი ვაგრამ ფაფაზიანი.

ვ. ფაფაზიანი ამჟამად ტფილისში იმყოფება. ჩვენს თანამშრომელთან საუბარში მან შემდეგნაირად დაახასიათა სპარსეთში თავისი მიწვევის მიზნები:

— მე სპარსეთში მიწვეული ვარ იმ მიზნით, რომ ვუხელმძღვანელო კლასიკოსების, კერძოდ უ. შექსპირის პიესების დადგმას ახალ სპარსულ თეატრში. ჩემი მონაწილეობით დაიდგმება „ჰამლეტი“, „რიჩარდ მესამე“ და „ოტელო“. აღნიშნული პიესები უკვე გადათარგმნილია სპარსულად მასახ-იან-ხანის მიერ. მასახ-იან-ხანი, წარმოშობით სომეხი, დიდხანს იყო სპარსეთის ელჩად ლონდონში, კარგად იცოდა ინგლისური ენა და მოკლებული არ იყო ლიტერატურულ ნიჭსაც. მან სომხურად თარგმნა თითქმის მთელი შექსპირი. სომხური თეატრები, მათ შორის ტფილისის სახელმწიფო სომხური დრამაც, დღემდე მისი თარგმანით სარგებლობენ, უკანასკნელად მასახ-იან-ხანი მუშაობდა შექსპირის სპარსულ თარგმანებზე. მისი თარგმანებით ვისარგებლებთ ჩვენ სპარსულ თეატრშიც.

მაგრამ მარტო პიესების დადგმით არ ამოიწურება ჩემი ამოცანა. სპარსული თეატრი ახალგაზრდა თეატრია, მას დახმარება უნდა. და ჩემი, როგორც საბჭოთა თეატრის მუშაკის, უპირველესი მოვალეობაა—დავეხმარო მას რჩევით და პრაქტიკული მოშველიებით. ამას გარდა, უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების ამიერ-კავკასიის განყოფილების მიერ მე დავალებული მაქვს მონაწილეობა მივიღო სპარსეთის უდიდესი პოეტის ფირდოუსის გარდაცვალების ათასი წლისთავთან დაკავშირებულ ზეიმში.

სპარსეთის გარდა, მე მიწვეული ვარ სტამბოლის თურქულ სახელმწიფო თეატრში. ამ თეატრთან დაკავშირებულია ჩემი სასცენო მუშაობის პირველი ნაბიჯები. ამ თეატრს ბევრი შესანიშნავი მსახიობი ჰყავს, მათ შორის მუხსინ-ბეი (ამ რამოდენიმე წლის წინად იყო საბჭოთა კავშირში როგორც კინო-რეჟისორი. იღებდა - სურათ „სპარტაკს“), ზადი-ბეი, ფერიმ-ეფენდი და სხვ.

მათთან ერთად მეც ხშირად მითამაშნია მაგრამ თურქეთის სახელმწიფო თეატრი ის აღარ არის, რაც სულთან ჰამიდის დროს იყო. მაშინ თეატრში არ იყო არც ერთი თურქი ქალი. ქალების როლის შესრულება მამაკაცებს უხდებოდათ, რადგან ქალს, ჩადრში გახვეულ თურქ ქალს, დახშული ჰქონდა გზა სცენისაკენ.

დღეს თურქეთში გაშლილ ნაციონალურ-რევოლუციონური მოძრაობის საფუძველზე ქალი თანდათან გამოდის პოლიტიკურ და კულტურულ ასპარეზზე. თეატრშიც მრავლად გაჩნდენ ქალები.

ჩემი ყოფნა თურქეთში მე მინდა გამოვიყენო იმ კეთილი ურთიერთობის განმტკიცებლად, რომელიც არსებობს პოლიტიკურ და კულტურულ სფეროში თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. კერძოდ, ჩემი მიზანია გავაცნო თურქეთის საზოგადოებრიობას ამიერ-კავკასიის ხალხთა შემოქმედების ნიმუშები. როდესაც მე იარჩევდი სამისო მასალებს, ჩემი განსაკუთრებულ ყურადღება მიიპყრო შალვა დადიანის პიესამ „თეთნულდ“. მე ეს წარმოდგენა ვნახე რუსთაველის თეატრში და ძალიან მომეწონა. ვიცი რა სტამბოლის მაყურებლის გემოვნება, დარწმუნებული ვარ, რომ „თეთნულდს“ დიდი წარმატება ექნება თურქეთში. მე უკვე შევუდექი პიესის თარგმნას. ვფიქრობ, თურქეთის ნაციონალური თეატრი ხალისით მოჰკიდებს ხელს ამ პიესის დადგმას.

*

ვაგრამ ფაფაზიანი სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკების სახალხო არტისტია. დაიბადა სტამბოლში, სცენაზე მუშაობა დაიწყო იქვე თურქულ თეატრში. სწავლობდა მილანის სახელოვნო აკადემიაში, სადაც მისი მასწავლებლები იყვნენ გამოჩენილი ელეონორა დუზე და ნოველლი. ვინაიდან მაშინდელ თურქეთში სომხები დევნილი იყვენ და ფაფაზიანს არ შეეძლო მშობლიურ ენაზე თამაში. ის თამაშობდა თურქულად, ფრანგულად, იტალიურად. ფაფაზიანმა ამას გარდა, იცის სხვა ენებიც— ბერძნული, სპარსული, რუსული და სხვ.

მე დაბადებული თურქეთში, სამშობლო არ მქონდა. სულთან ჰამიდის მთავრობა მიკრძალავდა სომხურად თამაშს. მე ჩემი ზურგზე გადავიტანე ეროვნული ჩაგვრის მთელი სიმძიმე. და როდესაც საბჭოთა კავშირში, კერძოდ ამიერ-კავკასიაში მე ვნახე ეროვნული თანამშრომლობის და მეგობრობის იშვიათი ნიმუშები, ჩემი გული სიხარულით ავსება. მე აღარ ვარ უსამშობლო. მე ვიპოვე სამშობლო საბჭოთა კავშირის სახით და მთელს ჩემს ნიჭს და ცოდნას მისი სახელის ამაღლებას დაუმორჩილებ.

მე ინგლისის ბევრი თეატრის და შექსპირის კლუბის საპატიო წევრი ვარ. ჩემთვის გამოგზავნილ სიგელებში მე მიწოდებენ „შექსპირის ჩრდილებს აღმოსავლეთში“. მიუხედავად ამისა, როდესაც მე ვითხოვე ინგლისში შესასვლელი ვიზა, უარი მითხრეს. მიზეზი ისაა, რომ „ჩვენ წითელ მანდატიონებს ინგლისში არ უშვებთ“-ო. მაგრამ მე მაინც მოვახერხებ ინგლისში შესვლას და იქაც [illegible] საბჭოთა ხელოვნების მიღწევებს, როგორც წარმატებით შევასრულე ეს ამოცანა ჩემი შარშანდელი საგასტროლო მოგზაურობის დროს საფრანგეთში, ბელგიაში და ესტონეთში.

ეხება რა ქართულ თეატრს, ვ. ფაფაზიანი ამბობს:

— ძველი ოსტატებიდან ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვეს ლ. მესხიშვილმა, ვ. აბაშიძემ და კ. მარჯანიშვილმა. ამ უკანასკნელთან მე მაკავშირებდა პირადი მეგობრობა. მაგრამ ეხლანდელი ქართული თეატრი ის აღარ არის, რაც მე წინად მინახავს. მე წელს ვესწრებოდი რუსთაველის თეატრის წარმოდგენებს მოსკოვში და დავრწმუნდი, რომ ეს თეატრი მოკლე დროის განმავლობაში გაიზარდა დიდ, საინტერესო თეატრად, სადაც, წინააღმდეგ ძველი თეატრისა, სჩანდა არა ცალკე აქტიორები, არამედ მთელი აქტიორული მასა. ეს საბჭოთა თეატრის დიდი მიღწევაა.

შ—ა.

ფიზკულტი

მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტი და [illegible]

6 ოქტომბერს „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის და [illegible] „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდების ამხანაგური შეხვედრა. სტადიონზე დასადგომი ადგილიც არ იყო დარჩენილი, „დინამოს“ სტადიონს არ ახსოვს ამდენი მაყურებელი—არც ერთი მატჩის დროს. მსაჯი კრავჩენკო აძლევს გუნდებს გამოსასვლელ ნიშანს. მოსკოვის გუნდი ლამაზი მწყობრით ერთ მწკრივად გამორბის სტადიონზე მათი შემადგენლობა დღეს უფრო ძლიერი და განახლებულია გამოცდილი ჰყავთ მეკარე და სხვა ძირითადი მოთამაშეები. ჩვეულებრივი შემადგენლობით გამოდის „დინამო“ პირველი: აბაშიძე, ფაჩულია, ახლამაზოვი, ბულიტინი, ფოჩხუა, ძმები სომხოვები და სხვ: „დინამოელებს“ არა ჰყავთ თავისი მეკარე, რაც მთავარ როლს თამაშობს და რამაც ძალზე იმოქმედა გუნდზე. ამოძრავდა ბურთი, შეუტიეს ტფილისელებმა, მაგრამ შეტევა უშედეგოდ რჩება. პირველ ნახევრის 40 წუთზე თამაშის პროცესში ჯარიმდება „დინამო“ პენალტით და პირველ ნახევარი მთავრდება 1:0 მოსკოველების სასარგებლოდ.

მეორე ნახევარში თამაში კიდევ ტფილისელების შეტევით იწყება, რამდენიმე წუთს ინიციატივა მათ ხელშია: რამოდენიმე კომბინაცია და აბაშიძე იჭერს ბურთს და სწრაფად აძლევს ახლამაზოვს. ეს უკანასკნელი მაგარი დარტყმით ბურთს [illegible] აძლევს კარებისაკენ, მაგრამ ბურთი ხვდება კარს და ბრუნდება უკან. რამოდენიმე ასეთი კრიტიკული მომენტი იყო მოსკოველთა კარებთან, მაგრამ „დინამოელებმა“ მაინც ვერ შესძლეს ბურთის გატანა; მეორე ნახევრის 15 წუთზე „დინამოს“ მეკარის დაუდევრობით. სტუმრები ათავსებენ მეორე ბურთს „დინამოელების“ ბადეში. თამაშის დამთავრებამდე სტუმრებმა კიდევ შესძლეს ორი ბურთის გატანა და თამაში დამთავრდა მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის გამარჯვებით 4:0.

უნდა აღინიშნოს მოსკოველების თამაშის საკმაოდ მაღალი ტექნიკა, გამძლეობა და ბურთის კოლექტიური გადაცემა მოსკოველების მხრიდან განსაკუთრებით კარგად თამაშობდენ მეკარე პილინოვი და თავდასხმის მარცხენა გარემარბი. ტფილისის „დინამოს“ მოთამაშეები ამ შეხვედრაში ვერ იდგენ სათანადო სიმაღლეზე, განსაკუთრებით ძალიან სუსტად თამაშობდა მეკარე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის კულტპროპაგანდაყოფილება იუწყება, რომ პარტსწავლების მორიგ დღეს—13 ოქტომბერს, მიმდინარე პოლიტიკის წრეებში წინედ გათვალისწინებული თემის: „მოსავლის აღების კამპანიის შედეგები და საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ამოცანები“ ნაცვლად დამუშავებულ იქნება თემა: „რა ხდება გერმანიაში“.

საქ. კ.პ. (ბ) კ-ის კულტპროპაგანდაყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს: ერ. ასტვაცატუროვს, ვ. ზამბახიძეს, ბენაშვილს, პ. ქანიშვილს, ჯიბლაძეს, ქ. ჯუღელს, ანდრიაძეს და მ. თომაძეს 9 ოქტომბერს დღის 2 საათზე გამოცხადდნენ ც. კ-ის კულტპროპაგანდაყოფილებაში. (ოთახი № 5).

9 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი საქ. ალკკ ცენტ. კომიტეტთან ერთად

იწვევს პარტიულ თათბირს

დღის წესრიგი:

„ალკკ შემოდგომა-ზამთრის პოლიტსწავლებისათვის მზადება“.

მომხსენებელი ამხ. გორგობიანი.

თათბირზე მოწვეული არიან: საქ. კ. პ. (ბ) და საქ. ალკკ ტფილისის კომიტეტები, საქ. კ. პ. (ბ) და საქ. ალკკ ტფილისის რაიკომები, საქართველოს კომპ. (ბ) და ალკკ სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტები. ქუთაისის, ზესტაფონის, თიანეთის, გორის, თელავის, გურჯაანის, ლაგოდეხის, აბაშის და დუშეთის პარტიისა და კომკავშირის რაიკომები, კომკავშირის აფხაზეთის და აჭარისტანის საოლქო კომიტეტები, კომკავშირის ოზურგეთის წალკის, სამტრედიის, ზუგდიდის, სენაკის სტალინისის ახალქალაქის, ტოლოშის, სიღნაღის, ბორჩალოს, ახალციხის, ალბულაღის და ბაშკიჩეთის რაიკომები.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ კომიტეტი.

საქ. ოპერა

8 ოქტომბერს 7 აბონ. 1 წარ	9 ოქტომბერს მე-9 აბონ. 1 წ	10 ოქტომბერს მე 11 აბონ. 1 წარ.
პიკის ქალი	1. ჯამბაზები 2. სევილიელი დალაქი	აბესალომ და ეთერი

ის აბონენტები, რომელთაც თავისი წარმოდგენის დღია 2 საათამდე არ ექნებათ გადახდილი მესამე მორიგი გადასახდელი, კარგავენ სპექტაკლზე დასწრების უფლებას და მათი ადგილები გაიყიდება ცალობით. 139

რუსთაველის თეატრი
სანდრო ახმეტელის
ხელმძღვანელობით
სეზონი 1933-34 წელი

10 ოქტომბრიდან იწყება
აბონემენტების მე-2 გადასახ. მიღება

ვინც მეორე გადასახადს არ შემოიტანს, კარგავს წარმოდგენაზე დასწრების უფლებას და მათი აბონემენტები გაიყიდება საერთო წესით.

15 ოქტომბ. სეზონის გახსნა
სალარო ღიაა 11—2 და 6—9 საათამდის. ნ. 381

სახკინმრეწვის კინო-თეატრები:

[illegible] 8 9-20, 10-40.	სათავგადასავლო ფილმი აბრეკ-ზაური
[illegible] სეან. დასაწ 7-30	სათავგ. მხ. ფ. ცეცხლოვანი რეისი პროგრამის გარეშე ჟურ № 24
[illegible] საზ. 7-30, [illegible]-20, [illegible] ზამთრის 7, 8-45, 10 30	სათავგ ფილ. უკანასკ. ატრაქციონი პროგ. გარ. ჟურ. № 23
კომინტერნი (დიდუბე) 8-30, 10	საზღვარგ. კომ. უკანასკნელი ცნობები პროგ. გარ.—ჟურ № 20
ოქტომბერი 6 7 30 9. 10-30.	მხატ. ფილმი [illegible] პროგრამის გარეშე საბჭ საქ № 14
[illegible] 6, 7-30, 9, 10-30.	მხატვრული ფილმი ოტელო პრ. გარ —ჟურნ საბჭოთა საქ.
რ. ლუქსემბურგის 6 30 [illegible]-30 11	ხმოვ. კომ მექანიკური [illegible] მთ როლში იგორ ილინსკი.
სპარტაკი 6, 7-30 9, 10-30	მხ. ფ. კონტრაბანდისტები ჩილიში პრ. გარ ჟურ სადარაჯოზე № 8
26-ის სახელობის (ავლაბარში)	საბკინმრეწვის ნაწარმოები ნათ ლა პროგრამის გარეშე — საკ № 19
მეცნიერება და ტექნიკა 9-30	ახალი ფილმი მხარის დაბადება პრ. გარ. ჟურ. მეცნ. და ტექნიკა
საბავშვო კინო დღის 12 და 2 საათზე	საბავშვო ფილმი კოჭლი პრ. გარეშე პიონერი № 7.

ამიერ-კავკასიის ყველა პარტიულ და პროფორგანიზაციის საყურადღებოდ

ცხადდება,

რომ საქართველოს კავშირგაბმულობის სამმართველოსთან დაარსდა

ორმხრივი კავშირგაბმულობის ბიურო

რომელიც საშუალებას იძლევა რადიოთი და მავთულით შექმნას მჭიდრო ცოცხალი კავშირი ცენტრსა და პერიფერიას შორის მოეწყოს თათბირები, წაკითხულ იქნას მოხსენებანი ყოველგვარ თემაზე, ჩატარდეს კამპანიები (თესვის, მოსავლის აღების, საანგარიშო და სხვ.) ისე რომ ყველა რაიონს სრული შესაძლებლობა ექნება მოისმინონ და გადასცეს რაც საჭირო იქნება ამით ბიურო [illegible] ადმინისტრატიულ სამეურნეო ზეგავლენის [illegible] ხარჯები [illegible] ხარჯები, ბრიგადების გაგზავნა პერიფერიებში [illegible] (მის იმ კამპანიის ჩასატარებლად).

თათბირის ღირებულება 2½ საათის შემდეგ. დაკვეთები მიიღება ხუთი დღით ადრე თათბირამდე დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ საქართველოს კავშირგაბმულობის სამმართველოს ორმხრივი კავშირგაბმულობის ბიუროს.

მისამართი: რუსთაველის პროსპექტი № 6, მე 3 სართული ნ. 38

სამოქ. სამ საპრ. კოდ. 306 მუხ თანახმად ქ. ტფილისის გაერთ საქ. სასამართლოს აღმასრულებელი დ. ბ. ჩიქოვანი ამით აცხადებს, რომ 1933 წ. 14 ოქტომბერს, დღის 1 საათზე, ქ. ტფილისში, წერეთლის ქუჩაზე № 15 სახლში

საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის

მოქ. პეტრე ბეთანელის პიანინოს, რაც შეფასებულია 2500 მან. და გაიყიდება კონსტანტინე კაკაბაძის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ტფილისის გაერთ. სასამართლოსაგან 1933 წ. 11 მარტის № 2/3339 გაცემულ აღმასრულებელი ფურცლისა. 102

„მკერავტრესტი“-ს სამკერვალო ფაბრიკა № 6

(კოოპერაციის ქუჩა, ყოფ. სომხის ბაზარი № 22)

აცხადებს შემკვეთლების საყურადღებოდ, რომ ქვემოდ ჩამოთვლილი შეკვეთები დამზადებულია ა-წ. 1-ლ ოქტომბრამდე. კოსტუმები და პალტოები, როგორც კაცის ისე ქალის გამოსყიდული უნდა იქნას ხუთი დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. ხუთი დღის შემდეგ შეკვეთები გაიყიდება სხვა პირებზე და არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.

შეკვეთების ნომრები:

799, 1188, 1926, 213[illegible], 2913, 3010, 3381, 3434, 3438, 3530, 3574, 3586, 3627, 3637, 3648, 3649, 3661, 3689, 3694, 3700, 3757, 3761, 3763, 3765, 3768, 3769, 3783, 3809, 3843, 3862, 3873, 3960, 3981, 3998, 400[illegible], 4004, 4015, 4063, 4094, 4103, 4105, 4112, 4175, 4270, 4310, 4311, 4350, 4416, 4441, 4474, 4490, 4511, 4512, 4525.

დანარჩენი შეკვეთები; ხალათები, შარვლები და ქალის კაბები, რომლებიც დამზადებული იყო პირველი ოქტომბრისათვის, გამოსყიდულ უნდა იქნეს ხუთი დღის განმავლობაში, რის შემდეგ გაიყიდება სხვა პირებზე. ნ. 377

ამიერ-კავკასიის დაუსწრებელი
საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტი
აცხადებს მიღებას 1934 სასწავლო წლისათვის.

ინსტიტუტს თავის შემადგენლობაში აქვს 4 სექტორი: ქართული რუსული სომხური და თურქული.

ფაკულტეტებით: 1. ფინანსიური საკრედიტო.
2. სააღრიცხვო-ეკონომიური.

ინსტიტუტში მიიღებიან ის პირები, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო სასწავლებელი მიღება სწარმოებს დოკუმენტების საფუძველზე მისაღები გამოცდები არ არის.

შენიშვნა: ფინსახკომის, შემნახველ სალაროების და ბანკების თანამშრომლები, რომელთაც არ დაუმთავრებიათ საშუალო სასწავლებელი, ინსტიტუტში მიიღებიან გამონაკლის შემთხვევაში თუ ექნებათ ამ დაწესებულებებში საშუალო და უმაღლესი რგოლის თანამდებობაზე მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 3 წლისა.

ინსტიტუტში სწავლის ვადა არის 4 წელიწადი.

მიღების პირობების გაგება და ანკეტების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში: ტფილისი ჯუღაშვილის ქ. 4, ინსტიტუტის განყოფილებებში: ბაქო, წითელი არმიის ქ № 29, ერევანი—ფინსახკომში. აგრეთვე ყველა რაიფინგანყოფილებასა და ინსტიტუტის სარაიონო დასაყრდენ პუნქტში.

განცხადებათა მიღება გრძელდება 1 ნოემბრამდე.

ნ. 375 ინსტიტუტის დირექცია.

ს. ბაქაიძე, ძ. გამყრელიძე, ა. ქახთარია, მ. კალატაძე, გ. კვერნაძე, რ. დოლიძე, მ. მითაიშვილი, ა. ასათიანი გ. გოგოლელია ნი, ვ. [illegible] თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. შალვა ნამგალაძეს მისი დის

მარო ნამგალაძე-ჟუჟუნაძის

გარდაცვალების გამო 126

ამხ ალექსანდრე ვაშაძის ხსოვნის აღსანიშნავად ქიათურაში 12 ოქტომბრისათვის დანიშნული პანაშვიდი სხვადასხვა მიზეზების გამო გადადებულია სხვა ვადისათვის, რასაც იუწყებიან ჭირისუფლები 127

ტფ. მე 4 რაიფინგანის თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე რაიფინგანის განსაზოგადოებულ სექტორის ინსპექტორ ამხ. დიმიტრი ბაქრაძის ძმის

ნესტორ ილიკოს ძე ბაქრაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო: 120

სოფ. ქვემო მაჩხაანის საკოლმეურნეო სკოლის პედ პერსონალი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ამავე სკოლის მასწავლებლის ვარო ბეჟუაშვილის მამის

გიგას

გარდაცვალების გამო. 11[illegible]

განათლ. სახკომი. ნებართვით
ვამზადებთ
მოწაფეებს:
10-წლ. და 7-წლ. მოწმობისათვის. აქვე ვასწავლით ბუღალტერიას და კომერციულ გამოანგარიშებას ბუღალტრის და მოანგარიშის თანამდებობისათვის. კარგარეთელის ქ. № 3 ა კინო „ოქტომბრის“ მახლობლად. დილ. 8-10 ს. სად. 4-6 ს. 10—8.

ექიმი
ს. ა. დიშელი
დაამთავრა პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტები.
სახის სილამაზის მოვლა
რადიკალურად სპობს სახის ყოველგვ. დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მეჭეჭებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, [illegible], [illegible], თმის [illegible], ქერტლს და სხ. ძნელაძის ქ. № 22.

უმაღ. გან. მათემატ
მასწავლებელი
ამზად. მათემატიკაში 7 წლედ. მოწმობაზე ბავშვებს და ჰასაკ გადაც. ვასწავლი ყველა საგნებს მე-5, 6. 7 ჯგ. პროგრამით და
მოანგარიშის
თანამდებობაზე.
პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. 5) ნახვა 8—12 ს. 4—7 ს. 3.3 10

ტფ. ფსიქო-ნევრ. ინსტიტუტთან არს. ლოგოპედიური კაბინეტი აწარმოებს მეტყველების დეფექტების მკურნალობას: ენაბლუობა, ენაჩლუნგობა, მოტორული აფაზია და სხვა.

მიღება ყოველდღიურად 4—7 საათამდე მუზეუმის ქ. (ყოფ. გრაფის) № 9. 12.8 200

ავჭალაში
ცენტროლიტის მშენებლობას სასწრაფოდ ესაჭიროება
მიწის მთოხნელები, დურგლები, მემოტორეები, არმატურჩიკები და სხვა დამხმარე მუშები.

ყველა სამუშაოები არის სანარდო. მუშები მარაგდებიან 1-ლი სიით, მიეცემათ უფასოთ საცხოვრებელი ბინა. მუშებისათვის გახსნილია დახურული კოოპერატივი.

მსურველები უნდა გამოცხადდნენ ავჭალაში ცენტროლიტის მშენებლობის სამმართველოში.

5—1 125 დირექცია.

კონსტანტინე ნესტორის ძე ჯაფარიძე, ცოლი ევგენია დავითის ასული, შვილი ეთიკო და ოლია ნადირაშვილი იუწყებიან

სარა ნადირაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება რკ. გზ. საავადმყოფოდან დღეს, 8 ოქტომბერს 4 ნახ. საათზე. ნ. 382

გულდათუთქული: დედა ეფემია, დები: ანნა, ვარდიკო, ნინა, რძალი ნინა. გაზრდილი ვერა, სიძეები: ბ. ბოკუჩავა ს. ცქიტიშვილი, დისწულებით, ძმისშვილი ბუკუ იუწყებიან დაუვიწყარ

თამარა მელიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 10 ოქტომბერს, 5 ს გამოსვენება ზედაზოვის ქ. ჩიხი № 1. 137

გულდამწვარნი: ბიცოლა ელპიტე, ბიძაშვილი პარმენი, მეუღლეთი ქეთო, შვილებით: ბუსკა, ნუნუ მაკალა მელიები იუწყებიან ძვირფას

თამარა დიმიტრის ას. მელიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10 ოქტომბერს ქუთაისში ზედაზოვის ქ. ჩიხი № 1. 137

ძეგვის კოოპერატივის თანამშრომლები: რ. გაბუა, შ. ჯიბლაძე, ა. მრევლიშვილი, ე. ფარქოსაძე, ს. მამულაშვილი, ვ. ფირანაშვილი, შ. მერებაშვილი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე კოოპ. გამგეობის წევრის

ამხ. ნესტორ ბაქრაძის

გარდაცვალების გამო. 122

წნორის ყვალის სამანქ.-სატრაქტორო სადგურის დირექცია, პოლიტგანყოფილება და თანამშრომლები იუწყებიან პოლიტგანყოფილების უფროსის ამხ. შალვა ნამგალაძის დის

მაროს

უდროოდ გარდაცვალებას 135

ღრმად დამწუხრებული დედა ფოტინე, მეუღლე მარო, შვილები: ვენერა, ეთერი ელიზა, ასპირო ძმები: კოწია, შალიკო მირიან, რძლები ელისაბედი; მარო ჭანტურიები იუწყებიან საყვარელ

ვიქტორის

დაკარგვას. დაკრძალვა 8 ოქტომბერს ს უფაში. 135

მეუღლე დავითი, შვილები კოტე, მიხეილი, სანდრო, ოლა, რძლები თამარი, მაშო, დარო, შვილიშვილებით, იუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს საყვარელი დედის

ნინო ანდრიას ას. დავითაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. სიონში 7 ოქტომბერს 124

საქ. გან. კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ინსტიტუტის თანამშრომლები და ადგილკომი მწუხარებას გამოსთქვამენ ინსტიტუტის თანამშრომლის

თამარ ნაუმის ასული გეგეშიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო 123

ძმები: ივანე, პოლიკარპე, ანტონი, ნიკოლოზი, ლევანი, დები: თეკლე, ნინა. ჟანა ოჯახებით იუწყებიან; რომ 6 ოქტომბერს ხანგრძლივი ავად ყოფნის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი ძმა სახალხო არტისტი-კომპოზიტორი

ზაქარია პეტრეს-ძე ფალიაშვილი

133

საქ სახ. მუსიკალურ მუშფაკის დირექცია პედაგოგები, თანამშრომლები და მსმენელები აუწყებენ საზოგადოებას რესპუბლიკის სახ. არტისტის კომპოზიტორ

ზაქარია პ. ფალიაშვილის

გარდაცვალებას. 140

ნადეჟდა ივანეს ასული და მიხეილ ქართანის ძე ბუზ-ოღლი, შვილებით მიხეილით, ალექსით და ოთარით მწუხარებით იუწყებიან სახალხო მსახიობის

ზაქარია პეტრეს-ძე ფალიაშვილის

გარდაცვალებას 124

აბელ ენუქიძის სახელობის 1-ლ სახ. სამუსიკო ტექნიკუმის დირექცია და პედსაბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას სახალხო არტისტ-კომპოზიტორ

ზაქარია ფალიაშვილის

გარდაცვალებას.

მეგობრები: ა. ბეთანელი, ქ. ციციშვილი, ხ. აფაქიძე ლ. [illegible], მ. ნიჟარაძე, თ. ქვარიანი ვ. ნიჟარაძე, ნ. ლაზარიშვილი, ქ. შავდია, მ. [illegible] ა. ედიბერიძე, ქ. [illegible], მ. ლეონიძე, ტ. ციციშვილი ვიზიარებთ ნინო ფალიაშვილის მწუხარებას მისი ძმის სახალხო არტისტის

ზაქარია ფალიაშვილის

გარდაცვალების გამო. 136

ტფილისის სახელმწიფო ოპერის თეატრის ადგილკომი და საქ. კ. პ. (ბ) უჯრედი ღრმა მწუხარებით იუწყებიან სახ. არტისტ კომპოზიტორის

ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილის

1—1 გარდაცვალებას. 141

ტფილისის სახელმწიფო ოპერის თეატრის დირექცია ღრმა მწუხარებით იუწყება სახ. არტისტ-კომპოზიტორის

ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილის

1—1 გარდაცვალებას 141

გუნია ვ., ნარსია გ., სხირტლაძე ვ., მონიავა ბ, ბარნაბიშვილი ზ., კანდელაკი ნ., ამირეჯიბიშვილი რ., მოდებაძე ვ., ფომია ნ., ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ თავიანთ მეგობრის დიმიტრი ბაქრაძის ძმის

ნესტორ ილარიონის-ძე ბაქრაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 73

ოლღა და პლატონ ბელავა, თამარი და ბიქტორ გურჯია, ლიდია და კაკო კორტავა შვილებით იუწყებიან დაუვიწყარ მამიდის

ელისაბედ კვიკვინის ასული ცაავას

გარდაცვალებას დაკრძალვა ახალ სენაკში. 130

გაუბედურებული მშობლები: მინადორ, ვიქტორი, დები მთიკო, ლიუდმილა მაჭავარიანები იუწყებიან, რომ 10 ოქტომბერს ს. საქარიქედში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მუდამ დაუვიწყარ

აგრ. გიორგი ვიქტორის-ძე მაჭავარიანის

ხსოვნის აღსანიშნავად 116

თავზარდაცემული: დედა თამარი, მამა ლავრენტი, ბებიები ვერა და მართა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს

ეთერიკო [illegible]

უდროოდ დაკარგვას დასაფლავება ქ. გალში. 117

ღრმად დამწუხრებული და ქრისტინე [illegible] კიროლე მგელაძე შვილებით გიორგი, მარო კატო, ხინა თეო ლოლა. სიძეებით მიხ. ჩხაიძე, კალ. ვ. ფხებაძე იუწყებიან მათთვის ძვირფასი

ივლიტა (მეტი) ცინცაძის

გარდაცვალებას. 118

საქ. სახკომსაბჭოსთან არს მთავრობის საგამომგონებლო კომიტეტი იუწყება კომიტეტის მთავარი ბუღალტერის

ლევან გიორგის ძე ბერიძის

გარდაცვალებას. დასაფლავება 8 ოქტომბერს 5 ს ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება კოლოუბნის (ფურცელაძის) № 15 114

თავზარდაცემული მეუღლე სონია, შვილები: ბობა, იურა, და რძალი ველია იუწყებიან დაუვიწყარ და საყვარელ

ლევან გიორგის ძე ბერიძის

გარდაცვალებას გამოსვენება 8 ოქტომბერს 4 ნახ. ს. ფურცელაძის ქ. № 15 ვერის სასაფლაოზე. 96

დამწუხრებული დები: ოლია, აგრაფინა, მარიამი, რძალი ტასო, ძმები: ბიქტორ, ვარლამ, მინა, გრიშა, შალიკო, ნესტორი. ქმარ შვილებით და ცოლშვილებით იუწყებიან საყვარელ

ლევან ბერიძის

გარდაცვალებას გამოსვენება 8 ოქტომბერს 4 ნახ. ს. კოლოუბნის ქ. № 15 121

დამწუხრებულნი ნიკო და მინა შენგელიები შვილებით სიმონი და ბიძინათი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, პირველთა დის და დანარჩენების მამიდის ძვირფასი

ელისაბედ კვიკვინის ასული ცაავას

გარდაცვალებას, დაკრძალვა ქ. ახალსენაკში 130

ღრმად დამწუხრებული მამა ვანო დედა თამარა მამინაშვილები, ბიძა მამია სურგულაძე მწუხარებით დავსტირით

პატარა ნოდარის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება 8 ოქტომბერს 3 საათზე კუკიის სასაფლაოზე გამოსვენება რიყის ქ. № 51 132

მარქს-ენგელს-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექცია, პარტუჯრედი და პროფკომი იუწყებიან ინსტიტუტის მსმენელის ამხ. ვასილ მამინაშვილის

პატარა ნოდარის

უდროოდ დაკარგვას დაკრძალვა 8 ოქტომ. კუკიის სასაფლაოზე 3. ს გამოსვენება რიყის ქ. № 51, 13[illegible]

კოჯორ კურორტის თანამშრომლები: დ. მაჭარაძე, ვ. კაპანაძე, ა. ცინცაძე, გ. სურგულაძე, გ. ქაჯაია, მ. პატარაია ა. პატარაია, დ. ვაჭაძე, ა. მოწონელიძე, გ. მირიტაშვილი ზ. მირიანაშვილი, კ. [illegible], დ. წიკლაური, გ. მარდიაშვილი, დ. მუთათარიძე, ლ. ბერუაშვილი იუწყებიან

ირა სიმონის ასული ხუხუაშვილის

გარდაცვალებას. 13[illegible]

გაუბედურებული კოლ ა ცინცაძე აუწყებს ნაცნობ მეგობრებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი უსაყვარლესი დედა

ივლიტა კონსტანტინეს ასული ცინცაძე

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 7 ს. ორჯონიკიძის ქ. № 78 18

კოჯორის სახ. დაწყ. შკოლის პროფ კავშირის წევრები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ადგილკომის თავმჯდომარე სიმონ ხუხუაშვილის ქალის

პატარა ირა (ირინა)

უდროოდ გარდაცვალების გამო დაკრძალვა კოჯორში 8 ოქტომბერს. 13

სტამბა „კომუნისტი“. კამოს ქ. 63.

მთავლიტის რწმუნებული ა 1472